

# ხობის მოამბე

№17-18 (7009) 21 ოქტომბერი, ორშაბათი, 2013 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი


## საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ხობში

# „...მნიშვნელოვანია, რომ სამეგრელოში განსაკუთრებული შედეგი იყოს, შედეგი, რომელიც ამ არჩევნებს რეალურად სიმბოლოდ აქცევს...“



**გიორგი მარგველვშვილი**
დაბადების თარიღი, ადგილი:
1969 წლის 4 სექტემბერი, თბილისი.

**განათლება**

გიორგი მარგველაშვილმა დაამთავრა თბილისის N1 საჯარო სკოლა. 1987-1992 წლებში იგი სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე; 1993-1994 წლებში კი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში, სოციოლოგიის სპეციალობაზე.

**სამეცნიერო ხარისხი:** 1998 წ. დაიცვა ხარისხი ფილოსოფიაში და მიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

**სამუშაო გამოცდილება**

1992-1995 წლებში გიორგი მარგველაშვილი მუშაობდა სამთო გამყოლად, დამხმარედ სტამბაში და მენეჯერის ასისტენტად გამომცემლობაში. 1995 წლიდან კი გიორგი მარგველაშვილი ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტში (NDI) მუშაობდა თავდაპირველად თარჯიმნის, შემდეგ კი ასისტენტის თანამდებობაზე. NDI-ში მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ის გახდა პროგრამის ხელმძღვანელი.2000-2006 წლებში გიორგი მარგველაშვილი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) რექტორის თანამდებობას იკავებდა. სწორედ ამ წლებში GIPA ჩამოყალიბდა ყველაზე წარმატებულ სასწავლებლად სახელმწიფო მმართველობისა და ჟურნალისტიკის დარგში.2006-2010 წლებში გიორგი მარგველაშვილი კვლევითი დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, ხოლო 2010-2012 წლებში კი ისევ GIPA-ს რექტორის თანამდებობას უბრუნდება.

.გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად 2013 წელს კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა. პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენამდე 2012 წელს კი ეკავა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობა.გიორგი მარგველაშვილი საქმიანი ვიზიტებით იმყოფებოდა ევროპის, ამერიკის, აფრიკის ბევრ ქვეყანაში. მონაწილეობდა ალპინისტურ ექსპედიციებში ჩრდილოეთ კავკასიაში, პამირსა და შუა აზიაში. 90-იან წლებში თანაგუნდელებთან ერთად მოაწყო და მონაწილეობა მიიღო ექსპედიციაში პაკისტანში, ინდოეთში, ნეპალში, ჩინეთში, მათ შორის, ტიბეტის პროვინციაში.

**ოჯახური მდომარეობა:**ჰყავს ერთი ქალიშვილი

*9 ოქტომბერს პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ხობს სტუმრობდა. ხობის საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც მასთან შეხვედრა გულით ეწადა, მის გვერდით იყო. თუ ერთი წლის წინ ხალხს, მიუხედავად მათი გულისწადილისა, ამგვარ შეხვედრებზე თამამად მისვლის ეშინოდა, ამ დღეს ეს არ შეიმჩნეოდა, ხალხი ბუჩქებიდან აღარ იმზირებოდა... გულღიად ლაღად გამოხატავდა თავის სიხარულს და მადლიერებას პრეზიდენტობის ღირსეული კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის მიმართ.*

*ჩემი მონოლოგით არ მოგაწყენთ და თავს უფლებას მივცემ ორიოდი სიტყვით იმ ხალხის ემოციები გადმოგცეთ, ვინც შეხვედრაზე იყო მოსული და ვისაც ძალიან უნდოდა მადლობა გადაეხადა ხელისუფლებისათვის იმ გაწეული დახმარებების გამო, რომელიც მათ ამ მოკლე პერიოდში შეძლეს. ზოგი მომატებული პენსიის გამო იყო მადლიერი, ზოგი უფასოდ დარიგებულ სასკოლო წიგნებზე საუბრობდა, ზოგი ჯანდაცვის სადაზღვევო პაკეტზე აკეთებდა ორიენტირს.ზოგი წუხდა უფრო მეტი ხალხი მოგროვდებოდა, მაგრამ ხალხს ეშინია არ გაავდრდეს და მოსავალი აუღებელი არ დაგვრჩესო, მოსავალი, რომელიც ასე უხვად ექნება წელს გლეხებს. ესეც ხომ ამ მთავრობის დამსახურება არისო, მეტი რა გინდათ თქვე დალოცვილებო, წინ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას გვპირდებიან და მივცეთ ამის საშუალებაო,–ამბობდა შეხვედრაზე მოსული მოსახლეობა. უცებ ამ ჩოჩქოლში სიჩუმე ჩამოვარდა და ხალხში ოვაციებმა და ტაშმა იმატა, მეც თვალი ტრიბუნისაკენ გამექცა, ტრიბუნაზე თავი მოეყარათ პარლამენტარებს: ეკა ბესელიას, ზვიად ძიძიგურს, გიგა ბუკიას, ილია წიკლაურს, მსახიობ ზაზა კოლელიშვილსა და პრეზიდენტობის კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს.*

*იქ დამსწრე საზოგადოებას მათ სიტყვით მიმართეს;*



**საქართველოს პარლამენტის წევრი ეკა ბესელია:–**ძალიან დიდი მადლობა, იმისათვის, რომ მრავლად ხართ აქ, ძალიან მნიშვნელოვან შეხვედრაზე, დიდ საბოლოო გამარჯვებამდე სულ რამოდენიმე დღე დაგვრჩა. ძალიან ახლოს ვართ იმ დღესთან, როცა საქართველოს ღირსეული პრეზიდენტი ეყოლება. მე დარწმუნებული ვარ, ხობელების რჩეული, როგორც საქართველოს დიდი უმრავლესობის რჩეული გიორგი მარგველაშვილი იქნება. ჩვენ ძალიან რთულ პერიოდში მოგვიხდა მუშაობა, როცა ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა იყო, როდესაც ძალიან ბევრი პრობლემა გვექმნებოდა სხვადასხვა სტრუქტურების მხრიდან, იმ გუნდის მხრიდან, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს გარკვეული გავლენა. ამის მიუხედავად, მთავრობამ, პარლამენტმა, მთელმა ჩვენმა გუნდმა მაქსიმუმი გააკეთა, მაქსიმუმი რისი გაკეთებაც ამ ერთი წლის განმავლობაში მოვასწარით. პირველი, რაც გავაკეთეთ, იყო ფართომაშტაბიანი ამნისტია. არ დაიჯეროთ, რომ ამის ფონზე კრიმინალმა იმატა, პირიქით კრიმინალი 500 ერთეულით შემცირდა. ეს იმიტომ, რომ ჩვენს საზოგადოებას არა აქვს მიდრეკილება კრიმინალის მიმართ. ამ ყველაფერს სხვა დატვირთვა და სხვა ტიპის პოლიტიკა ჰქონდა. სამეგრელომ ყველაზე მეტად იწვნია თავის თავზე უსამართლობა, ძალადობა, ადამიანების ღირსების შელახვა. ამ ყველაფერს კი წერტილი 1 ოქტომბერს დაესვა. ის, რაც ჩვენ ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, არის საპრეზიდენტო არჩევნები, ჩვენ გვყავს ღირსეული კანდიდატი, კანდიდატი, რომელიც პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხს წარუდგინა. გიორგისთან ერთად ჩვენმა მთავრობამ სოციალურად მიმართა ბიუჯეტი, ამ ერთი წლის განმავლობაში გავზარდეთ პენსია, სოციალური დახმარებები, შემწეობა, რომელიც დანიშნული იყო, ბავშვებმა წიგნები სკოლებში უფასოდ მიიღეს, უნივერსიტეტებში 17 ფაკულტეტი უფასოა, სტუდენტებს ექნებათ საშუალება მიიღონ დაფინანსება სახელმწიფოს მიერ. მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენ ხელისუფლებაში ვართ იმიტომ, რომ გემსახუროთ თქვენ. სამეგრელოს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. გიორგიმ ფოთში ყოფნის დროს თქვა არაჩვეულებრივი რამ, ჩვენც უცებ ავიტაცეთ ეს ფრაზა და ჩვენც სამეგრელოში ასე მოვიხსენიებთ მას, როდესაც მისი გვარის წარმომავლობაზე ვსაუბრობდით, მან თქვა, რომ გიორგი მარგალი ვარო. მან სწორედ სამეგრელოდან დაიწყო თავისი საპრეზიდენტო კამპანია, იმისათვის, რომ ფეხზე დადგეს, განსაკუთრებული ყურადღება სამეგრელოს სჭირდება. მჯერა, რომ თქვენ გააკეთებთ ღირსეულ არჩევანს ისეთ კანდიდატზე, რომელიც იქნება საქართველოს ღირ-

>>>>>>>>> 2

## ახალი ტექნოლოგიების ეკონომიკური ეფექტი



შარშან, როცა ქვეყანაში არჩევნების გზით ახალი ხელისუფლება მოვიდა, სოფლის მეურნეობა იმთავითვე გახდა მთავრობის პრიორიტეტი. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა უპირველესი კურსი აიღო არა მარტო დარგის განვითარებისათვის, არამედ „სასოფლო-სამეურნეო ბარათების“ დარიგებით ხალხს მისცა საშუალება მიწა დაეხნა, დაეფარცხა და დაეთესა უფასოდ, დამუშავების გარეშე არ დარჩენილიყო მიწა და ხვავი, ბარაქა, სარჩო შემატებოდა თითოეულ ოჯახს.

მუნიციპალიტეტებში და მათ შორის ხობშიც, წარსულსჩაბარებული სოფლის მეურნეობების საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურები შექმნა და დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი ადამიანებით დაკომპლექტდა. ერთი სიტყვით, სოფელმა გაიხარა, გამოცოცხლდა და იმედიან მარცვალჩაგდებულმა მიწამაც გული გახსნა. ე.წ. „ზარმაცი“ მესიმინდეებიც გაახარა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ძირითადად სოიო და სიმინდი

>>>>>>>>> 11

## საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ხობში

1

# „...მნიშვნელოვანია, რომ სამეგრელოში განსაკუთრებული შედეგი იყოს, შედეგი, რომელიც ამ არჩევნებს რეალურად სიმბოლოდ აქცევს...“



სეული წარმომადგენელი, რომელსაც სამშობლო ეყვარება, ადამიანი ეყვარება, თქვენ ეყვარებით, ის ყველას პრეზიდენტი იქნება, ქვეყნის გამაერთიანებელი, ქვეყანაზე მზრუნველი, სწორედ ასეთი იქნება გიორგი მარგველაშვილი, რომელსაც 27 ოქტომბერს მხარი უნდა დაუჭიროთ.

***მსახიობი-ზაზა კოლელიშვილი:*** „გაგიმარჯოთ ჩემო კეთილო ხალხო, მეამაყება, რომ თქვენს წინაშე სიტყვის თქმის უფლება მომეცა, მე მეამაყება გიორგი მარგველაშვილის გუნდის წევრი რომ მქვია, მე მეამაყება, დღევანდელ დღეს, რომ ვარ ქართველი და მოგებული არჩევნებში, მაგრამ სრულ გამარჯვებამდე ჩვენ ერთი ნაბიჯი გვაკლია და ეს ნაბიჯი არის 27 ოქტომბერი, მაშ მოდით ყველანი არჩევნებზე და შემოხაზეთ ნომერი 41 რათა ხმა მივცეთ ჩვენს ღირსეულ პრეზიდენტობის კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს.“

***პარლამენტის წევრმა ზვიად ძიძიგურმა*** დამსწრე საზოგადობას კიდევ ერთხელ შეახსენა თუ როგორი უსამართლობა მეფობდა ამ ერთი წლის წინ საქართველოში და განსაკუთრებით სამეგრელოში. ხაზი გაუსვა კერძოდ სამეგრელოში ძალოვანი სტრუქტურების მიერ გატარებულ ე.წ. „რეფორმებს.“ რომ დღეს საქართველოში და სამეგრელოში სხვაგვარი სიტუაციაა, რომ ხალხი ლაღად და მშვიდ ვითარებაში ემზადება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ეს ბიძინა ივანიშვილის დიდი დამსახურებაა. როგორადაც არ უნდა უნდოდეთ, ხუთიანების შემოხვაზის დრო საქართველოში დასრულებულია, ეს თემა უკვე დახურულია.საქართველოს ყავს პრეზიდენტობის ღირსეული კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, გამარჯვებამდე ცოტა დრო დარჩა. მე მჯერა, რომ საქართველოს პრეზიდენტი იქნება გიორგი მარგველაშვილი. განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

***პარლამენტის წევრმა ილია წიკლაურმა*** 1991-92 წლები გაიხსენა და ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩემო კეთილო ხალხო, ჩემო ხობელებო, თქვენ ჩემი მასპინძლები არა მარტო დღეს ხართ, არამედ იყავით 1991-92 წლებში,როდესაც ზვიად გამსახურდიას გვერდში მდგომი პარლამენტარები ჩამოვედით აქ. თვითონ მშივრებმა უკანასკნელი ლუკმა გაგვიყავით, თვითონ შეციებულებმა თქვენი გულის სითბოთი გაგვათბეთ. შარშან 1 ოქტომბერს ჩვენ ერთი ბრძოლა მოვიგეთ. მაგრამ საქართველოს წინსვლისათვის 27 ოქტომბერს ხმა მივცეთ ღირსეულ კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს.“

***პარლამენტის წევრმა, ხობის მკვიდრმა გიგა ბუკიამ*** ხობელებს შემდეგი სიტყყვებით მიმართა: „მოგესალმებით ხობელებო, დებო და ძმებო. გილოცავთ ამ დღეს, ერთი წლისთავს გილოცავთ, საკუთარი თავის და ქვეყნის განთავისუფლების დღეს. მაგრამ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა, მართალია ხობმა წინა არჩევნებზე პირველი ადგილი ვერ მოიპოვა, მაგრამ მჯერა თქვენი თანადგომის და 27 ოქტომბერს თქვენ ღირსეულ არჩევანს გააკეთებთ, ხმას მისცემთ გიორგი მარგველაშვილს, რომელიც იქნება თქვენი ყველას პრეზიდენტი, კაცი, რომელსაც უყვარს ღმერთი, სამშობლო, უყვარს ადამიანი, მაშ ასე ჩემო ხობელებო, წინ გამარჯვებისაკენ...

***შეხვედრის დასასრულს მოსახლეობის წინაშე გიორგი მარგველაშვილი წარსდგა***:_„დიდი სიყვარულითა და მადლიერებით მოგესალმებით. მადლიერებით იმისათვის, რომ ასე მხნედ დგახარ და იყურებით მომავლისაკენ. მე ეკას სიტყვებით მინდა დავიწყო, სამეგრელოს ყველაზე მეტად გაუჭირდა, სამეგრელო ყველაზე დიდი ტერორის ქვეშ იმყოფებოდა. ძალადობის ის მანქანა საგანგებო სიჩქარის ძალით აქ იყო ამუშავებული. ეს არ იყო შემთხვევითი და იმ გეგმის ნაწილი იყო, რომელიც მიმართული იყო ქვეყნის დასუსტებისაკენ. გაგახსენებთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მიდიოდა მცდელობა საქართველოს შესუსტებისა, მთავარი არტერიის სამეგრელოს ჩამოშორებით იწყებოდა. ეს მცდელობა იქმნებოდა ეროვნული მოძრაობის დასასრულს, თუ ახლა. მთავარი ძარღვი და ძალა უნდა გადაეჭრა ადამიანს იმისათვის, რომ არ ამუშავებულიყო ჩვენი ქვეყნის ერთობა და ძალა. იმიტომ იწვნიეთ თქვენ ყველაზე დიდი ტერორი და ძალადობა. ჩვენ საპრეზიდენტო კამპანია სწორედ, რომ სამეგრელოდან დავიწყეთ, იმიტომ, რომ იქ შედგა სწორედ პირველი ქართული ერთობა. სწორედ იმ გენს გვინდა დავუბრუნდეთ, თუნდაც ჭყონდიდელისა, რომელმაც დავით აღმაშენებელი აღზარდა, რომელმაც გააერთიანა საქართველო, იმ ფესვებს გვინდა დავუბრუნდეთ ფარნავაზისა და ქუჯის, რომლებმაც გააძლიერეს ქვეყანა. ქვეყნის გაძლიერება შეუძლებელი გახდება, თუ ამ პროცესში ამ ხაზზე მთავარი არტერია სამეგრელო იქნება შესუსტებული. სწორედ ამიტომ დავიწყეთ საარჩევნო კამპანია აქედან, რომ მიგვეთითებინა ამ ერთობისაკენ და ამ თანხმობისაკენ. აქეთკენაა სწორედ ჩვენი მომავალი პოლიტიკა მიმართული. მადლობა მინდა გითხრათ იმ გამარჯვებისთვის, რომელიც შარშან მოვიპოვეთ, მაგრამ ამასთან ერთად მინდა გითხრათ ის პირობა, რომელიც მომავალ საქართველოზეა მიმართული. მინდა გითხრათ, რომ აღარასდროს არც



ერთ ოჯახში არა მარტო სამეგრელოში, არამედ მთლიანად საქართველოში არ იქნება პრეცენდენტი, რომ პოლიცია მუშაობდეს იმისათვის, რომ მოსახლეობა შეაშინოს, დაჩაგროს, აღარასოდეს არ დაბრუნდება ქვეყანაში არც ერთი მოძალადე. ადამიანებს, რომლებსაც უნდათ სხვების დაჩაგვრა არიან კრიმინალები და მათი ადგილი არის ციხეში და არა მთავრობაში. ამ ბოლო დროს სამეგრელოს გუბერნატორად დაინიშნა ადამიანი, რომელიც პირდაპირ ციხის საკნიდან გამოიყვანეს და დანიშნეს აქ გუბერნატორად, რისთვის? რატომ? რა მოტივაციით? იმ მოტივაციით, რომ გაგრძელებულიყო ან უმეტეს შემთხვევაში, იმიტაცია შეექმნათ, რომ რაღაც გრძელდება. მე გარანტიას გაძლევთ, არაფერიც არ გრძელდება არამედ დამთავრებულია მათი ძალადობა და ამას წერტილი დაესმება ძალინ მალე. მე არ ვიცი ვის შეუძლია მოუვიდეს თავში იმის სურვილი, რომ დაბრუნდეს იმის მსგავსი, რაც ცხრა წლის განმავლობაში ხდებოდა. ამ პროცესს ქართველმა ხალხმა განაჩენი გამოუტანა და ბუნებრივია, ამ პროცესს მომავალი არა აქვს. მოდით ვისაუბროთ იმის თაობაზე, რასაც აქვს მომავალი, საითკენაც მივდივართ, იმიტომ, რომ წარსულზე საუბარი არ არის ჩვენი მიზანი. 27 ოქტომბრის მერე მთავრობის სრული კონსოლიდაცია მოხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი იმუშავებენ ერთი მიმართულებით. ამ მიმართულების ერთადერთი ვექტორი იქნება საქართველო და თითოეული ქართული ოჯახი. ამ მიმართულებით დავიწყებთ მუშაობას მას მერე რაც თქვენი ხელით დავასრულებთ იმ გარყვნილებას, რასაც აქამდე კოჰაბიტაცია ერქვა. კიდევ ერთხელ გაუმარჯოს ამ გამარჯვებას. ჩვენ დავიწყებთ ახალი ქვეყნის მშენებლობას. ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ მოხდება ეს, ვინაიდან ეს ერთი წელია, რაც მოსახლეობა მთავრობის ყურადღებას ხედავს. გაგრძელდება სკოლების, მოსწავლეების დახმარებები, გაგრძელდება საბავშვო ბაღების გახსნა, გაგრძელდება უფასო საბავშვო ბაღები, უფრო მეტი უფასო ფაკულტეტები გაიხსნება, გაგრძელდება და კიდევ უფრო დაიხვეწება სოფლის დახმარების პროგრამა, გაგრძელდება ის უპრეცენდენტო ჯანდაცვის რეფორმა, რომლის ფარგლებში შარშან ორმილიონზე მეტი ადამიანი იქნა დაზღვეული. ასევე ნელ-ნელა, ეტაპობრივად საავადმყოფოების პრობლემაც გადაწყდება. მეტი დახმარება ექნებათ პენსიონერებს. 450 ათამდე სახლი აშენდება და გადაეცემათ იძულებით გადაადგილებულ პირებს. კვლავაც გაგრძელდება ჩვენი კარგი მინისტრის-დავით ნარმანიას საქმიანობა, რომელიც აგებს გზებს, აკეთებს წყლის სისტემებს. გაგრძელდება და მომავალ წელს მთლიანად დასრულდება გაზიფიკაცია მთელს საქართველოში, იმისათვის, რომ ეს მოხდეს, საჭიროა პოლიტიკოსები ინტრიგებით არ იყვნენ დაკავებულები, არა იმიტომ, რომ თითოეულ ოჯახში შუღლი დათესონ, არა იმიტომ, რომ გადაჰკიდონ ადამიანები ერთმანეთს, არა იმიტომ, რომ გადაჰკიდონ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები ერთმანეთს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქ სამეგრელოში იყოს განსაკუთრებული შედეგი, შედეგი, რომელიც ამ არჩევნებს რეალურად აქცევს სიმბოლოდ. მჯერა თქვენი მხარდაჭერის, კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ თანადგომისათვის და აქ მობრძანებისათვის, ქედს ვიხრი თითოეული თქვენთაგანის წინაშე.

***სიტყვის დასრულების შემდეგ ბატონი გიორგი მარგველაშვილი ხალხს გაესაუბრა, მათი გულისწუხილი მოისმინა. ზოგს იქვე გასცა ამომწურავი პასუხი, ზოგს საკითხის გარკვევაში დახმარებას შეპირდა, უშუალო დიალოგმა ხალხში ერთი ორად გაზარდა მისი რეიტინგი, ვინაიდან ხალხს სწორედ გულღია ადამიანები მოსწონთ, ისეთი ვისთანაც ახლოს მისვლაც შესაძლებელია ისე, რომ არც დაცვის მუშტის არ შეგეშინდება, გაწვდილი წერილის გამო რომ არ დაგიჭერენ, და ვინ მოსთვლის1ოქტომბრის შემდეგ კიდევ რამდენი რამის აღარ გვეშინია.***

***რათა უკეთ გაეცნოთ პრეზიდენტობის კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს, მინდა შემოგთავაზოთ მისი პოლიტიკური ხედვა სხვადასხვა საკითხებზე* (prezidenti.gi).**

***ვფიქრობ მკითხველისათვის ესა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად?***

–საქართველო ამ ხუთი წლის შემდეგ, ჩემი პრეზიდენტობის ვადის დასასრულს, შემდეგნაირად მესახება: ესაა დემოკრატიული ქვეყანა, სადაც დაცულია ადამიანის ყველა –პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური უფლება; ქვეყანა, რომელსაც აქვს სტაბილური ეკონომიკური განვითარების ვექტორი; დაძლეულია უმუშევრობის პრობლემა; ადამიანები ილვწიან და შრომობენ მშვიდობისა და კეთილდღეობის გაძლიერებისთვის; ქვეყანა, რომელიც საიმედო პარტნიორია მსოფლიო თანამეგობრობისთვის; სადაც ვითარდება საზოგადოების სრულფასოვანი, ღირსეული ცხოვრების ყველა სფერო: კულტურა, მეცნიერება, სპორტი, მედია და ა.შ. სადაც სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ვი-

3

### საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ხობში

# „...მნიშვნელოვანია, რომ სამეგრელოში განსაკუთრებული შედეგი იყოს, შედეგი, რომელიც ამ არჩევნებს რეალურად სიმბოლოდ აქცევს...“

2 ⋘

თარდება, თუმცა მუდმივად აკონტროლებს მას; სადაც ბიზნესის ინტერესები დაცულია და მეწარმეობის განვითარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი; სადაც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეებზე; პოლიტიკური ვითარება სტაბილურია; ტერიტორიული პრობლემებისა და კონფლიქტების მოგვარებისკენ გადადგმულია ქმედითი ნაბიჯები; განვითარების ევროპული ვექტორი სტაბილური და შეუქცევადია და არავის ეჭვს არ იწვევს არც ჩვენში, არც ქვეყნის გარეთ. მე ვიმოქმედებ კონსტიტუციით მონიჭებული ყველა უფლებამოსილებით, გამოვიყენებ პრეზიდენტის ინსტიტუტის ყველა ბერკეტს, ხალხის სამსახურში ჩავაყენებ ხალხისავე არჩეული უმაღლესი თანამდებობის პირის მთელ ძალაუფლებას, რათა ჩემს თანამებრძოლებთან, კოალიციასთან, ბატონ ბიძინა ივანიშვილთან, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებთან ერთად ეს ხედვა რეალობად ვაქციოთ.



**2. როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?**

–განათლების სისტემა ქვეყნის სტრატეგიულ ამოცანებს უნდა დაუკავშირდეს. სახელმწიფო ვალდებულია, ქვეყნის ინტერესების შესაბამისად მოაწყოს განათლების სისტემა. ის თავად უნდა გახდეს განათლებისა და სამეცნიერო კვლევების უმთავრესი დამკვეთი. ქართულ აკადემიურ სივრცეში რეალურად უნდა განვახორციელოთ უნივერსიტეტთა ავტონომიურობა და აკადემიური თავისუფლება, ამისათვის უნდა შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიები და მექანიზმები. ქვეყნის წინსვლისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელია პროფესიონალები, სპეციალისტები. სახელმწიფოს გრძელვადიანი განვითარება გადამწყვეტ როლს აკისრებს განათლებასა და მეცნიერებას.

**3. თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?**

–ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, შეიძლება საგადასახდო სისტემის კიდევ უფრო დახვეწაზე ვიფიქროთ. თუმცა, დღეს მოქმედი საგადასახადო სისტემა ეფექტურია და ხელსაყრელ პირობებს ქმნის უცხოელი თუ ქართველი მეწარმეებისა და ინვესტორებისთვის.

**4. როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული და რა კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს?**

–ქვეყნის სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა ყოვლისმომცველი ეკონომიკური ზრდა. ყოველმა მოქალაქემ უნდა ისარგებლოს მიღწეული დადებითი შედეგებით და შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის საყოველთაო მონაწილეობა ეკონომიკური ზრდის პროცესში. ჩვენი პრიორიტეტებია: სტაბილური გარემოს შექმნა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ინვესტიციების მოზიდვა, ბაზრების გაფართოება, ქართული პროდუქციის ექსპორტის წახალისება, ქვეყნის საწარმოო, ენერგეტიკული და სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა, საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში უფრო ინტენსიურად მონაწილეობა. ჩვენ დავიწყეთ და უნდა განვავითაროთ ხელსაყრელი პირობების შექმნა ბიზნესისა და მეწარმეობისთვის. ამ მიმართულებით ვითარდება შეღავათიანი სესხების და ბიზნეს-ინკუბატორების პროგრამები. სოფლის დახმარება გაგრძელდება, ვიდრე სოფელი ფეხზე არ დადგება. სოფლად ურბანული ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის ხელს შევუწყობთ ისეთი სამოქალაქო-კულტურული ინფრასტრუქტურის მოწყობას, რომელიც სოფლად ცხოვრებას მიმზიდველს გახდის, ხელს შეუწყობს ხალხის, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდობის ადგილზე დაფუძნებას. სოფლად სრულფასოვანი ცხოვრების შესა-ძლებლობების შექმნით თავიდან ავიცილებთ მიგრაციასა და დემოგრაფიულ პრობლემებს. თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკა ვერ დაეფუძნება მხოლოდ ამოწურვად რესურსებს, მით უმეტეს, ბუნებრივ რესურსებსაც ცოდნით უკეთესად და უფრო ეფექტიანად მოვიხმართ, ვიდრე ცოდნის გარეშე. ეკონომიკური პროცესების უმთავრეს მამოძრავებლად ჩვენ უნდა ვაღიაროთ არა ამოწურვადი რესურსები, არამედ ადამიანური ინტელექტი. ამიტომ აუცილებელია ადამიანური კაპიტალის განვითარება და განათლების სისტემის რეფორმა. თითოეული ჩვენგანის ინტელექტუალური პოტენციალის სრულად გამოყენებით საქართველოს ეკონომიკურად ძლიერ, მიმზიდველ და საინტერესო ქვეყნად გადავაქცევთ. საქართველო გახდება ტრადიციულ და ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული

კეთილდღეობის ქვეყანა, რომელიც მუდმივად განვითარებისკენ ისწრაფვის.

**5. თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?**

–უმუშევრობის პრობლემის მოგვარების გასაღები ეკონომიკის განვითარებაში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაშია. თუმცა ყველაზე განვითარებული ეკონომიკების ქვეყნებშიც კი არ არის უმუშევრობა სრულად აღმოფხვრილი. ჩვენ ეტაპობრივად უნდა მივიდეთ თანამედროვე წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილებამდე, როდესაც სახელმწიფო იღებს სოციალურ პასუხისმგებლობას უმუშევართა დახმარებაზე და, ამავე დროს, მათ გადამზადებაზე. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ადამიანებს, დაეუფლონ ახალ პროფესიებს, სპეციალობებს და იპოვონ საკუთარი ადგილი შრომის ბაზარზე. ეს პრობლემა ძალიან მნიშვნელოვანია და ჩემი ადმინისტრაციის განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანი იქნება.

**6. ჯანდაცვა: რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს, რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამაღლდეს მისი ხარისხი?**

–უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი სისტემა, სადაც უმთავრესი იქნება ექიმებისა და პაციენტების ინტერესები. ასეთი სისტემის მშენებლობა უკვე დაწყებულია უნივერსალური ჯანდაცვის სისტემაზე გადასვლით. ჯანდაცვის პოლიტიკის ამოცანებია, როგორც დაზღვევის სიტემის შემდგომი დახვეწა, ისე, პრევენციული მედიცინის განვითარება. ამ მიზნით, იგეგმება ხელმისაწვდომობის ზრდა ფასებსა და სერვისებზე, აგრეთვე, რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესება: კვალიფიკაციის, ტექნოლოგიების ხარისხის ამაღლება, ახალი ამბულატორიების, საავადმყოფოების აშენება.

**7. რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?**

–ახალი ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია შემოსავლების ზრდის შესაძლებლობების გაჩენისკენ. ამასთან, ეკონომიკის გაძლიერებამდე, ხელისუფლება იღებს პასუხისმგებლობას ღარიბესი ადამიანებისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარებების გაწევაზე. სოციალური დახმარებების მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება. მალე დასრულდება ახალი მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების შემუშავება. ახალი სოციალური პოლიტიკა ორიენტირებული იქნება მეტ სოციალურ სამართლიანობაზე - მეტი ყურადღება მიექცევა მრავალშვილიან ოჯახებს, ავადმყოფებს, პენსიონერებს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.



**8. თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?**

–ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფო მართვაში მოქალაქეთა თანამონაწილეობის ერთ-ერთი უმთავრესი მექანიზმია. თვითმმართველობის რეფორმის მიზანია ავტორიტარიზმის პირობებში ჩამოყალიბებული ზეცენტრალიზებული სისტემის დეცენტრალიზაცია, მმართველობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. თვითმმართველობა სუბსიდიარობის პრინციპს უნდა დაეფუძნოს. ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებები ადგილებზე უნდა მიიღონ იმათ, ვისაც ყველაზე მეტად ესმის პრობლემატიკა, ყველაზე მეტად შესტკივა გული, ვინც ყველაზე უკეთ იცნობს სიტუაციას. ადგილობრივი თვითმმართველობები ავტონომიური უნდა იყოს ცენტრისგან და პასუხისმგებელი ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე. ასეთი თვითმმართველობები სამოქალაქო მონაწილეობისა და დემოკრატიული ჩართულობის ახალი ტრადიციების დასაწყისად გადაიქცევა.

**9. რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?**

–კონფლიქტის არაძალადობრივი გადაწყვეტა ქვეყნის უცვლელი კურსია, რაც ეფუძნება არაღიარების პოლიტიკის გაგრძელებას და ქვეყნის დეოკუპაციის პროცესს. ჩვენთვის პრიორიტეტულია აფხაზ და ოს ძმებთან პირდაპირი ურთიერთობის ხელშეწყობა, საოკუპაციო ხაზებით გაყოფილი მოსახლეობის დაახლოება და მათ შორის ნდობის აღდგენა. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ თანამემამულეებს ვთავაზობთ წარმატებული ქვეყნის ერთად აშენებას, ევროპულ ქვეყანას, ცხოვრებას თავისუფალ, დემოკრატიულ და მშვიდობიან სახელმწიფოში, რომელიც გახდება ნებისმიერი მოქალაქის კეთილდღეობის, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული იდენტურობის შენარჩუნებისა და პოლიტიკური უფლებების ხელშეუხებლობის გარანტი.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი ტერიტორიების, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. განსაკუთრებული როლი ენიჭება ჟენევის მოლაპარაკებების წარმატებით წარმოებას, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის ზრდას, ასევე, სტრატეგიულ პარტნიორებთან კოორდინაციის გაძლიერებას. ამ მხრივ, ყველანი ვაცნობიერებთ რუსეთის როლს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ რუსეთთან ეკონომიკური, სავაჭ-

⋙ 4

### საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ხობში

# „...მნიშვნელოვანია, რომ სამეგრელოში განსაკუთრებული შედეგი იყოს, შედეგი, რომელიც ამ არჩევნებს რეალურად სიმბოლოდ აქცევს...“

3

რო, კულტურული ურთიერთობების აღდგენისა და ნდობის ატმოსფეროს ჩამოსაყალიბებლად. მაგრამ, ამავე დროს, პრინციპულები ვართ–ამ გზაზე არ იქნება არავითარი დათმობა, რაც ჩრდილს მიაყენებს ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ჩვენს ღირსებას. ამ კომპლექსურმა ძალისხმევამ ხელი უნდა შეუწყოს დევნილებისა და ლტოლვილების უპირობო, უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას, გვქონდეს მათი უფლებების დაცვისა და თავისუფლებების განხორციელების მტკიცე გარანტიები.

**10. უმცირესობათა უფლებები: რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?**

–დემოკრატიული სახელმწიფოს მიზანია, ნებისმიერი ადამიანის უფლების დაცვა. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი უმცირესობათა უფლებებს. თანამედროვე დემოკრატია ნიშნავს უმრავლესობის მმართველობას და, ამავე დროს, უმცირესობის უფლებათა დაცვას. დიდი ყურადღება და ძალისხმევაა საჭირო, რომ უმრავლესობის მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ ზღუდავდეს უმცირესობის უფლებებს. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ამა თუ იმ ნიშნით ადამიანთა დევნა, შევიწროება და დისკრიმინაცია. ამასთანავე, იგი უნდა ქმნიდეს და იცავდეს ადამიანთა სრულფასოვანი, შემოქმედებითი თვითრეალიზაციის პირობებს.



**11. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გასაზრდელად საჭირო ღონისძიებების შესახებ.**

–საქართველოში ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპულ საშუალო მაჩვენებელს. გასულ არჩევნებამდე, ქალთა რაოდენობა პარლამენტში მხოლოდ 6% იყო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს შორის. მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, თუმცა ქალთა წარმომადგენლობა როგორც ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოში, ისე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ნომინალური რჩება. ქალები მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ, ამიტომ დემოკრატიული სამართლიანობა მოითხოვს, რომ მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ადეკვატური იყოს. ნამდვილ დემოკრატიაზე ვერ ვისაუბრებთ, თუ მოსახლეობის ნახევარს პარლამენტში მხოლოდ 6, 10, 15% წარმოადგენს. საქართველოს ამ მიმართულებით ბევრი რამის სწავლა შეუძლია საერთაშორისო

გამოცდილებიდან. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, მოხდეს ამ საკითხის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენება. ამისთვის მმართველი გუნდისა და, ზოგადად, პოლიტიკური ელიტის პოლიტიკური ნება უაღრესად მნიშვნელოვანია. ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან მუშაობა. ერთად უნდა დავძლიოთ სტერეოტიპული შეხედულებები ქალის როლის შესახებ და საზოგადოებრივი კონსესუსის საფუძველზე ისეთი საზოგადოება უნდა შევქმნათ, სადაც ყველა ქალს ექნება თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. ქალები ჩაბმული უნდა იყვნენ გადაწყვეტილებების მიღებაში, უნდა იმყოფებოდნენ ძალაუფლების ველში. საქართველოს დემოკრატიულ, ადამიანის უფლებებზე დამყარებულ საზოგადოებად გარდაქმნაში ქალთა როლი ფასდაუდებელია.

**12. რა პოლიტიკას გაატარებდით ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციისთვის?**

–ჩვენი ქვეყნის ეთნიკური, კულტურული, რელიგიური მრავალფეროვნება ჩვენი მთავარი სიმდიდრეა, ნოყიერი ნიადაგია მრავალფეროვანი საზოგადოებრივ-კულტურული სივრცის ფორმირების, ადამიანებს შორის დიალოგისა და ურთიერთგაგებისთვის. ჩვენ განსაკუთრებით ყურადღებით ვიქნებით, რომ ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები სრულად იქნას დაცული. ამავე დროს, ჩვენ მათ დავიცავთ არა მხოლოდ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან, არამედ შევუქმნით სრულფასოვანი განვითარების პირობებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მათი სრული ინტეგრაცია სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ პროცესებში. ამისთვის ქართული ენის სწავლების ხარისხის ამაღლებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ.



**13.ეკოლოგია: გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისკენ.**

–განვითარების გრძელვადიანი ხედვა უარს ამბობს რესურსებისადმი უტილიტარულ, მყისიერ მოგებაზე ორიენტირებულ დამოკიდებულებაზე. ბუნებისადმი მომხმარებლური მოპყრობა იწვევს ადამიანის საცხოვრებელი გარემოს მოშლას. სწორედ ამის გამოა, რომ დღეს უპრეცედენტო ეკოლოგიური გამოწვევების პირისპირ ვდგავართ. მდგრადი განვითარების სტრატეგია იცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ბალანსს. ჩვენ ფეხი უნდა ავუწყოთ თანამედროვეობას და უარი ვთქვათ მონორესურსულ პოლიტიკაზე, სადაც ეს შესაძლებელია. უნდა მოვძებნოთ ენერგიის, რესურსების ალტერნატიული წყაროები. ამასთან, მნიშვნელოვანია საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება. პრეზიდენტს ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

**14. რომელ ქვეყნებთან /ქვეყანათა გაერთიანებებთან /ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის, სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/ გაერთიანება/ ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?**

–ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვაა, რაც გულისხმობს საერთაშორისო არენაზე ევროპული, დემოკრატიული და სუვერენული სახელმწიფოს სტატუსის განმტკიცებას. აუცილებელია საგარეო პოლიტიკის გააქტიურება, რათა უზრუნველვყოთ ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. საქართველო ევროპის განუყოფელი ნაწილია. ევროპული კულტურა და ღირებულებები ყველაზე ახლოს დგას ქართულ ეროვნულ იდეასა და იდენტობასთან. ჩვენი მიზანია, საქართველო პოლიტიკურადაც გახდეს ევროპის სრულუფლებიანი წევრი და საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთო ევროპული სახლის მშენებლობაში. საქართველოს, ასევე, აქვს ისტორიული მისია, იქცეს ევროპასა და აზიას შორის თანამშრომლობის, დიალოგისა და თანხმობის ადგილად.

**15. როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?**

–როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყანა, საქართველო ევროპის გეოგრაფიული, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური, სავაჭრო და უსაფრთხოების სივრცის ნაწილს წარმოადგენს. შავი ზღვის მეორე ნაპირს ევროკავშირი ესაზღვრება. ჩვენ უნდა დავიწყოთ ხიდის შენება ამ ნაპირისკენ. საქართველომ განსაკუთრებით უნდა გააღრმავოს თანამშრომლობარეგიონის ქვეყნებთან. შავი ზღვისა და კასპიის რეგიონებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო და კულტურული კავშირების განმტკიცებით საქართველომ რეგიონული ლიდერის როლი უნდა მოიპოვოს დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით.

**16. თავდაცვის პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?**

–ჩვენმა ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ იგეგმება ეტაპობრივი გადასვლა პროფესიულ სამხედრო სამსახურზე. თავდაცვის სამინისტრო უკვე მუშაობს ამ რეფორმაზე. მე სრულად ვიზიარებ ქვეყნის თავდაცვის ასეთ ხედვას და მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნისთვის კარგად მომზადებული პროფესიული ჯარი იქნება უსაფრთხოების სანდო გარანტია.

**17.როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?**

–საქართველოს დემოკრატიული და მშვიდობიანი განვითარება ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედია. იგი ამცირებს საგარეო საფრთხეს, განაპირობებს ქვეყნის სანდო საერთაშორისო პარტნიორად ჩამოყალიბებას.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის გრძელვადიანი გარანტია თავისუფალი სამყაროს სრულფასოვანი წევრობაა, რაც ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციით მიიღწევა. საქართველოს შეიარაღებული ძალები რჩება საქართველოს უსაფრთხოების უმთავრეს გარანტად. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმისა და ეფექტიანობის მუდმივი ზრდა. ამავდროულად, ჩვენ კარგად გვესმის, რომ მშვიდობიანი მსოფლიო ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა. ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობით საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ჩვენ გავაგრძელებთ იმ ვალდებულებების შესრულებას, რომელიც ტერორიზმთან და სხვა გლობალურ საფრთხეებთან ბრძოლასა და თანამედროვე გლობალური უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება. ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში უნდა შეიქმნას ენერგეტიკული უსაფრთხოების მდგრადი სისტემა, რომელიც დაფუძნდება ენერგომომარაგების დივერსიფიკაციაზე, მარაგების შექმნასა და ინფრასტრუქტურის შენარჩუნება-გაუმჯობესებაზე. ეკონომიკური უსაფრთხოება უნდა უზრუნველვყოთ სტრატეგიული დარგების განვითარებით, ძირითად ინფრასტრუქტურასა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გაძლიერებით. თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შექმნა და უცხოური ინვესტიციების გაზრდა-დივერსიფიკაცია ხელს შეუწყობს პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას და გაზრდის საქართველოს მშვიდობიანი და უსაფრთხო განვითარებით დაინტერესებულ სახელმწიფოთა რიცხვს.

**18. თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა–აბორტი? რატომ?**

–ამ ძალზე მგრძნობიარე საკითხს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. იმ ქვეყნების პრაქტიკა, სადაც აბორტი არალეგალურია, აჩვენებს, რომ აკრძალვა იწვევს არა მათი რიცხვის შემცირებას, არამედ არალეგალური აბორტების ზრდას. ეს კი საფრთხეს უქმნის ქალთა ჯანმრთელობას, ხშირად, სიცოცხლესაც. აბორტის აკრძალვა განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანია ღარიბი და სოციალურად დაუცველი ქა-

5

## საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ხობში

# „მნიშვნელოვანია, რომ სამეგრელოში განსაკუთრებული შედეგი იყოს, შედეგი, რომელიც ამ არჩევნებს რეალურად სიმბოლოდ აქცევს...“

4 ⋘

ლებისთვის. აბორტის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია არის არა აკრძალვა, არამედ რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა და ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა. ნებისმიერი სხვა მიდგომა კიდევ უფრო გააუარესებს ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობას საქართველოში, გაზრდის დედათა სიკვდილიანობას, გააღრმავებს გენდერულ უთანასწორობას და გააასმაგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც არასასურველი ორსულობის შედეგად გაჩენილ ბავშვებს ნაგვის საყრელზე ვპოულობთ. ამავე დროს, საკითხის გადაწყვეტა მჭიდრო კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან, სოციალური უსაფრთხოების ზრდასთან, განათლების და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასთან. ჰარმონიული და უფლებებზე ორიენტირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როდესაც ყველა ორსულობა იქნება სასურველი და ყველა ქალის ფუნ-



დამენტური უფლება იქნება დაცული. ამ ვითარების მიღწევა, რა თქმა უნდა, ადვილი ამოცანა არაა. მაგრამ პასუხისმგებლობიანი სახელმწიფოს მიზანი არ შეიძლება სხვანაირი იყოს.

19. გადასახადები და კრედიტი: უნდა ჰქონდეთ თუ არა კრედიტორებს კრედიტის/გასესხებული თანხის იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე ამოღების უფლება? რატომ?

– როგორც ნებისმიერი ბიზნესი, ბანკებიც თავისუფალი უნდა იყოს, მათ შორის, საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრისას. თუმცა სახელმწიფო ვერ მოიხსნის მოქალაქეთა წინაშე პასუხისმგებლობას. მან უნდა უზრუნველყოს, რომ წესები იყოს ყველასთვის ნათელი და გასაგები და მოქალაქეები დაცულები იყვნენ.

**20. მიწის საკუთრება: როგორ ფიქრობთ, უნდა შეეძლოთ თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში?**

–ჩვენ დროში მიწა განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსია. გლობალური გამოწვევები და პლანეტაზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ყოველწლიურად შემცირება მიწის რესურსებს კიდევ უფრო ძვირფასსა და მოსაფრთხილებელს ხდის. როდესაც მიწაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს არა უბრალოდ რაღაც ფართობის მონაკვეთი, არამედ რესურსი, რომლის ნაყოფიერ ნიადაგად ფორმირებასაც ასწლეულები დასჭირდა. ამიტომ, ერთი მხრივ,

მიწა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხია. მეორე მხრივ კი, მხედველობაში უნდა მივიღოთ სოფლად მცხოვრები გლეხობის განსაკუთრებული დამოკიდებულება მიწისადმი. მიწა მათთვის უბრალოდ შემოსავლის წყარო არაა. მათი იდენტობა მიწას, წინაპართა ნასახლარს, წარსულს უკავშირდება. ისინი მიწათმოქმედები არიან და საკუთარ თავს მიწასთან მიმართებით აღიქვამენ. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ასეთ ხალხს და შესაძლებლობა მისცეს, მართლაც დარჩეს სოფლად, აკეთოს საყვარელი საქმე, მაგრამ, ამავდროულად, გლეხის ცხოვრება უნდა იყოს

სრულფასოვანი, საინტერესო და არა დამქანცველი, ამაო შრომა, როდესაც ძლივს მოყვანილ მოსავალსაც ვერ ყიდის. აი, ამის მხარდაჭერა არის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. რაც შეეხება უცხოელებზე მიწების გაყიდვას, პრობლემა იმაში კი არაა, თუ რა ეროვნების ადამიანი ყიდულობს მიწას, არამედ იმაში, თუ როგორ უფრთხილდება ამ სახალხო რესურსს, როგორ იყენებს მას. მოაქვს თუ არა ამას სარგებელი ადგილობრივი მოსახლეობისთვის? თუ ტყის მასივების გაჩეხვასა და მიწის გამოფიტვასთან გვაქვს საქმე, საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, ეს უცხოელმა ჩაიდინა თუ ქართველმა. წინა ხელისუფლების პოლიტიკამ სოფლად ცხოვრება გლეხებისთვის აუტანელი გახადა და ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ, მიწები, რომლიდანაც თავად მოგებას ვერ ნახულობდნენ, უცხოელებისთვის მიეყიდათ. ჩვენ უცხოელებზე მიწის გასხვისება კი არ უნდა ავკრძალოთ, ალტერნატივა უნდა შევთავაზოთ გლეხებს.

**მოამზადა ნინო ბერბაიამ**



საქართველოს ისტორია ახლო წარსულში ბევრ არჩევნებს მოითვლის. თითოეული მათგანი გამოირჩეოდა სხვადასხვა თავისებურებებით, მაგრამ ჰქონდათ საერთო ნიშანიც: შედეგებისადმი უნდობლობა.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები საქართველოს ისტორიაში იყო გადამწყვეტი, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალი ეპოქის დასაწყისს. 1990 წლის არჩევნების შემდეგ ქართველმა ხალხმა, პირველად, შესძლო არჩევნების გზით გადაერჩია ხელისუფლება და დაეშვა

# ჩვენი გამარჯვებისა იყოს, ძვირფასო ხობელებო!

***საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩემი არჩევანით ხმას მივცემ ჩემი ქვეყნის წინსვლას, ჩემი ხობის მუნიციპალიტეტის განვითარების მყარ პერსპექტივას, თითოეული ხობელის ხვალინდელი დღის სიმტკიცესა და სიჯანსაღეს, იმ მომღიმარი სახეების, მშვიდი და გულმართალი ხობელების ცხოვრებისეულ ასპარეზზე გამოჩენის მომავალს, რაც ასე ძალიან გვენატრება.***

პრეცედენტი დემოკრატიული განვითარების გზაზე. ამ არჩევნებით ქართველმა ხალხმა უარი უთხრა ძალადობას და იმ მახინჯი სისტემის არსებობას, რაც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა და არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებით საქართველო განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. თითოეულ ადამიანს გაუჩნდა სურვილი ქვეყანაში ცხოვრებისა და იმედი–უკეთესი მომავლისა. ადამიანები მიხვდნენ, რომ მათ ხმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და თუ მოინდომებენ, ისინი შესძლებენ უკეთესი მომავლის შექმნას, მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს წარსული და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის, რომ მომავლის შექმნაში გავითვალისწინოთ და არ დავუშვათ იგივე შეცდომები და არ ჩავიდინოთ დანაშაული, რომელიც შემდეგ შეიძლება ბუმერანგივით დაგვიბრუნდეს უკან, ამავე დროს უნდა ვისწავლოთ მოთმენა, რადგან ხვალ უფრო მეტი მივიღოთ, ვიდრე გვაქვს დღეს. უნდა დავინახოთ, რაც კეთდება და შევაფასოთ შესაბამისად. დღეს ახალი სტანდარტი მკვიდრდება პოლიტიკაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქართული პოლიტიკური გარემოს გაჯანსაღებისთვის, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის აზრს, უფლებებსა და თავისუფლებებს.

2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები არის იმ რწმენის, იმედისა და უკეთესი მომავლის განმტკიცების მთავარი გარანტია, რომლის გამოც ქართველმა ხალხმა შარშან, ოქტომბერში ბიძინა ივანიშვილსა და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მისცა ნდობის მანდატი და ჩააბარა ქვეყნის მართვის სადავეები. ამ გამარჯვებას განმტკიცება სჭირდება.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, რომ ამ არჩევნებით უნდა დაინგრეს წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული სტერეოტიპები, მოლოდინი იმისა, რომ ლიდერი იყოს ზეკაცი. არჩევნებით ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთ ტესტს ჩააბარებს დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემისა და აღიარების თვალსაზრისით და ღირსეულ ადგილს დაიკავებს იმ სამყაროში, სადაც ფასობს ადამიანი, მისი შინაგანი თავისუფლება და ურთიერთთანასწორობა. კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატი ბატონი გიორგი მარგველაშვილი არის თანამედროვე, განათლებული, გაწონასწორებული და წესიერი ადამიანი, რომლის ცხოვრებისეული გამოცდილება უკავშირდება სუფთა წარსულს, დიდ ინტელექტს, გონიერებას, სიმშვიდეს, გაწონასწორებულობას და მაღალ კულტურას, არის ქვეყნის პატრიოტი, პრეზიდენტობა მისთვის იქნება დიდი პასუხიმგებლობა. მას არ გააჩნია ამბიცია იმისა, რომ მუდმივად დარჩეს ხელისუფლებაში და მისი მმართველობა წინა ხელისუფლების მსგავსად სულთანიზმში გადაიზარდოს, მაგრამ აქვს ამბიცია მომავალ თაობებს დაუტოვოს ღირსეული მემკვიდრეობა.

წლის განმავლობაში შევეჩვიეთ რადიკალიზმზე დამყარებული პოლიტიკის გატარებას და გვიკვირს წლევანდელი საარჩევნო გარემო. ყოველთვის ვირჩევდით ხელისუფლებას მაღალი პროცენტით, რადგან გვქონდა და დღესაც გვაქვს მოთხოვნილება ბელადისა და ზეკაცისა, რომელსაც ვაკისრებდით ჩვენი პრობლემების გადაწყვეტას, ახლა კი გვაქვს შანსი დავანგრიოთ ეს სტერეოტიპი და ვიყოთ პასუხისმგებელი, როგორც საკუთარ თავთან ისე ქვეყნის წინაშე. თუ ჩვენ ერთმანეთის გვერდით არ დავდგებით, გათითოკაცებულს გაგვიჭირდება წინსვლა, ამიტომ ერთად დგომის დროა., რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის მონაპოვარი დავიცვათ და არ მივცეთ „ნაციონალურ მოძრაობას“ რევანშის საშუალება, რომელიც ისევ იმავე რიტორიკით აგრძელებს „მოღვაწეობას“ და ცდილობს ხალხის გულის მოგებას, თუმცა ხალხი ბრძენია და ამას არ დაუშვებს. „ნაციონალური მოძრაობა“ იყო და არის ძალა, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას და წარმოადგენს ანტიეროვნულ, ანტისახალხო, ანტისახელმწიფოებრივ, მერკანტელისტურ მიზნებზე დამყარებულ ერთობას.

მე, ერთი რიგითი მოქალაქე რატომ მივცემდი ხმას გიორგი მარგველაშვილს?

ვინაიდან დარწმუნებული ვარ ამით ხმას ვაძლევ წინსვლას, სტაბილურობას, ეკონომიკურ აღმავლობას, ადამიანური უფლებების სრული დაცვის გარანტიას.

კოალიცია „ქართული ოცნება“ მხოლოდ იდეების დონეზე არ მიდის ოქტომბრის არჩევნებზე, ჩვენს კანდიდატს საგზლად მიჰყვება ის ფუნდამეტური ცვლილებები და საქმეები, რაც მოახერხა ახალმა გუნდმა ამ ერთი წლის განმავლობაში: ეს არის უპრეცედენტო პროგრამების განხორციელება სოფლის მეურნეობაში, რომელიც სამწლიანი პროგრამაა და რომელმაც უდიდესი შვება მისცა სოფელში მეწარმეობა აბსოლუტურ უმრავლესობას, რეალურად ამუშავდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა და თითოეული თემი გახდა თანამონაწილე თავისი სოფლის პრიორიტეტული საკითხების მოგვარებისა, სახელმწიფო დაზღვევის პროგრამები, რის საფუძველზეც ადამიანთა უდიდესმა ჯგუფმა მიიღო სამედიცინო მომსახურეობა, ჩაიტარა მკურნალობა ან დაუფინანსდა ურთულესი ოპერაციები და თავი დააღწია უმძიმეს ტკივილს, რომელიც წლების მანძილზე უსახსრობის გამო აწუხებდა, გაიზარდა პენსიები, სოციალური დახმარებები, მასწავლებელთა ხელფასები. სასკოლო სახელმძღვანელოების მოსწავლეებისათვის უფასოდ გადაცემამ უფრო მოტივირებული გახადა ახალი სასწავლო წლის დაწყება, თითოეულ სკოლას ემსახურება სატრანსპორტო საშუალებები, რომლებსაც მოსწავლეები გადაჰყავთ უფასოდ, დაგეგმილია ძალიან დიდი ცვლილებები სოციალურ სფეროში, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებულ პირთა და სოციალურად დაუცველთა მიმართ.

დაგეგმილია ბევრი ახალი პროექტი, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს ჩვენი შრომისუნარიანი მოსახლეობის მაქსიმალურ დასაქმებას, ადამიანთა ძალიან დიდი ნაწილი აიხდენს უსასრულო ოცნებას და მიიღებს რეალურ შემოსავალს. მეტს არ ჩამოვთვლი, ვინაიდან ვიცი რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩემი არჩევანით ხმას მივცემ ჩემი ქვეყნის წინსვლას, ჩემი ხობის მუნიციპალიტეტის განვითარების მყარ პერსპექტივას, თითოეული ხობელის ხვალინდელი დღის სიმტკიცესა და სიჯანსაღეს, იმ მომღიმარი სახეების, მშვიდი და გულმართალი ხობელების ცხოვრებისეულ ასპარეზზე გამოჩენის მომავალს, რაც ასე ძალიან გვენატრება.

მჯერა, რომ თითოეული ჩვენი თანაქალაქელი, თანასოფლელი, მეგობარი თუ სრულიად უცნობი, გააკეთებს ღირსეულ არჩევანს და მხარს დაუჭერს იმ ძალას, რომელიც არის გარანტი ყოველივე იმისა რაც აღვნიშნე. თუ გვინდა ქვეყანა განვითარდეს სწრაფი ტემპებით, დასრულდეს ორხელისუფლებიანობა და ე.წ. „კოჰაბიტაცია“, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმ მონაპოვარის დასაცავად, რაც ქართველმა ხალხმა 2012 წლის 1 ოქტომბერს მოიპოვა., ამისთვის საჭიროა 27 ოქტომბერს „ქუდზე კაცი“ გამოვიდეს არჩევნებზე და შემოხაზოს „41–გიორგი მარგველაშვილი“ და ხმა მისცეს ქვეყნის ღირსეულ პერსპექტივას. მინდა გჯეროდეთ, რომ მომავალი აუცილებლად ჩვენია.

დაე, ჩვენი გამარჯვებისა იყოს ძვირფასო ხობელებო!.

**მარაში გაბედავა,**
**კოალიცია „ქართული ოცნების“ ხობისრაიონული შტაბის ხელმძღვანელი.**

ექო

# საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე"

## „ადამიანი როცა მღერის, ზეცა იხსნება..."

ხალხური მუსიკა ოდითგანვე ერის სულიერ საზრდოს წარმოადგენდა. სიმღერა სწორედ ის ძალა იყო, რომელიც გაჭირვებაში მხნეობასა და სიმტკიცეს მატებდა ადამიანს. ამიტომაც უფრთხილდებოდა კაცი თავის მრავალსაუკუნოვან მუსიკალურ ენას.

საუკუნეების მანძილზე ქართული ხალხური სიმღერა იხვეწებოდა და მდიდრდებოდა. ქართველ ხალხს სამართლიანად შეუძლია იამაყოს წინაპართა მიერ შექმნილი უძველესი და უმდიდრესი მუსიკალური კულტურით, რომლის მოვლა-პატრონობაც ახალგაზრდა თაობის ვალია.

სწორედ ამ მოვლა-პატრონობის საქმეს ემსახურება საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი ხობის მუნიციპალიტეტიდან გოდერძი ბუკია, რომლის დიდი ძალისხმევით ხობის საერთაშორისო ფესტივალს უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. მოძიებული და ჩაწერილია 1000-ზე მეტი სიმღერა, რომლებიც გაერთიანდა 4 სანოტო კრებულში–ქართულ-ლათინური ტრანსლიტერაციით, „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატთა" ოთხტომეულში შეიკრიბა და გაცოცხლდა 43 საუკეთესო ლოტბარის მონოგრაფია, გამოცემულია კატალოგები, ცნობარები, კომპაქტდისკები და სხვა. სპეციალურად ფესტივალისთვის შექმნილია ათეულობით ახალი სიმღერა. სწორედ ფესტივალის ეგიდით 2007 წელს ხობში განხორციელდა სრულიად უნიკალური პროექტი–დაფუძნდა ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი („სამეგრელო"), რომელსაც ანალოგი არ აქვს მსოფლიოში.

ხობის ფესტივალის შემოქმედებითი ჯგუფი, რომელსაც სათავეში ქართული კულტურის ღვაწლმოსილი ადამიანები უდგანან, საზოგადოებას ჩვენი ეროვნული საუნჯის პოპულარიზაციის სულ უფრო ახალ საინტერესო ფორმებს სთავაზობს და ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობს საფესტივალო ღონისძიებებში ახალგაზრდობის მონაწილეობას.

წლების მანძილზე ხობმა ნამდვილად ბევრ დამწყებ მომღერალს დაუთმო სცენა და გზა დაულოცა...

...ხობის საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე" ხობმა წელს მეექვსედ უმასპინძლა, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ფესტივალი ანსამბლ „მზიურის" მიეძღვნა სლოგანით–„მზიურის ფესვებიდან," სადაც მზიურის ყველა თაობის მომღერალმა ანსამბლის ძველი სიმღერები შეასრულა...

***გოდერძი ბუკია, საერთაშორისო ფესტივალ „სიმღერა სამეგრელოზე" ორგანიზატორი:–*** „დღეს ხობში უჩვეულო დღე არის, ხობი წელს მეექვსედ მასპინძლობს ქართული-ხალხური სიმღერის საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე."

წლევანდელი ფესტივალი ანსამბლ „მზიურის" იუბილეს მიეძღვნა. აქ ყველა თაობის „მზიურელი" ბრძანდება შესანიშნავი მომღერლის თამარ გვერდწითელის ჩათვლით. დღეს აქ გაერთიანებულია მთელი საქართველო, გვყავს სტუმრები საპატრიარქოდან, ასევე სტუმრები უცხოეთიდან, რომლებიც მიესალმებიან ანსამბლ „მზიურის"... დღეს პატრიარქმა საკვირაო ქადაგებაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩვენს ფესტივალს, მოგვეფერა, მოგვესიყვარულა და დაგვლოცა...

ყველა თქვენთაგანს დიდი მადლობა მობრძანებისთვის!"

***ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:–*** „დღეს იხურება ხობის საერთაშორისო ფესტივალი. ამ ზეიმს ვულოცავ ყოველწლიური მუსიკალური ფესტივალის ორგანიზატორს და სრულიად საქართველოს. ღმერთმა დალოცოს და მრავალჟამს იყოს ასეთი ფესტივალი. დალოცვილი და გახარებული იყავით."




ხობი ფესტივალისთვის ემზადებოდა. უამინდობა და თავსხმა წვიმა თითქმის ამის საშუალებას არ იძლეოდა. თუმცა, ფესტივალის ორგანიზატორები მიუხედავად უამინდობისა, ამ ულამაზესი დღის სამზადისში იყვნენ... და, მაინც, ყველაფერი ლამაზი და უჩვეულო გახლდათ. ფესტივალის მონაწილეებს სჯეროდათ, რომ როგორც ყოველთვის, წვიმა წელსაც გადაიღებდა...

...ფესტივალის პირველ დღეს, გალა-კონცერტი სამეგრელოს რეგიონის მხატვრული კოლექტივების მონაწილეობით გაიმართა, მოგვიანებით გამართულ კონცერტზე კი ქართველი ესტრადის მომღერლებთან ერთად რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან და ლიტვიდან ჩამოსულმა მომღერლებმაც მიიღეს მონაწილეობა. კონცერტის ბოლოს ახალგაზრდებისთვის მოეწყო დისკოთეკა, რომელმაც გვიანობამდე გასტანა...

დასასრულს კი, ნიშნად ამაღლებული განწყობილებისა, ცა ალისფრად აფერადებულმა ფრანებმა გაალამაზეს...

მეორე დღეს ხობის ცენტრში მთელი დღის განმავლობაში კულტურული ღონისძიებები იმართებოდა. სტუმრებს საშუალება მიეცათ დაეთვალიერებინათ ხალხური რეწვის ნიმუშები, ენახათ მეგრული ფაცხები, სადაც შეეძლოთ მეგრული კერძების დაგემოვნება. შესრულდა იუმორისტული ნომრები და გარკვეული დრო პოეზიასაც დაეთმო.

დასამახსოვრებელი იყო სვანეთიდან ჩამობრძანებული პოეტის ***ერეკლე სალიანის*** შეფასება ფესტივალზე, მან გოდერძი ბუკიას წვლილზეც ისაუბრა:–„უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ხობი დიდმა აღმშენებლობამ მოიცვა. ბატონი გოდერძი ბუკია გახლავთ მეურნე კაცი, სვანეთში ასეთ ადამიანზე იტყვიან: „ქვაზე რომ დაასახლო, წალკოტად გიქცევს იქაურობასო..." მონასტერი ვნახე, ვნახე პატრიარქის რეზიდენცია და გაოცებული ვარ, რამხელა საქმე არის გაკეთებული, ამას დამატებული, ბატონმა გოდერძიმ ასეთ დიდ ფესტივალს ჩაუყარა საფუძველი, რომელშიც მთელი საქართველოს სხვადასხვა ფოლკლორული ანსამბლი იღებს მონაწილეობას... ნათქვამია, რომ ადამიანი არის სხეულში ჩაკეტილი სული, რომელიც, როცა მღერის, იხსნება ზეცაო. სწორედ, დიდმა სულიერებამ მოიცვა აქაურობა და სულიერი კავშირების გარეშე ჩვენ ვერ გადავრჩებით. მინდა ერთ რამეს გავუსვა კიდევ ხაზი, რომ ეს დიდი კულტურა, ის დიდი მეგრული ხალხური ფოლკლორი თავის დროზე ჯერ ცხონებულმა ძუკუ ლოლუამ, შემდგომ კირილე პაჭკორიამ, ნოკო ხურციამ შეაგროვეს, მერე ბატონი პოლიკარპე ხუბულავა მათი ამ დიდი საქმის გამგრძელებელი ჩნდება და ბატონმა გოდერძი ბუკიამ პოლიკარპე ხუბულავას საშუალება მისცა, რომ უამრავი, სიმღერა, რომელიც ჩვენგან თითქოს ფეხაკრეფით მიიპარებოდა, გადაერჩინა და საქართველოსთვის, როგორც განძი, ისე დაეტოვებინა. ადამიანი ყოველ წამიერ შემოქმედებით აქტში იბადება. ის დიდი კულტურა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დატოვეს, თუ ჩვენ არ მოვუარეთ და გავამდიდრეთ, რა თქმა უნდა ის კულტურა კვდება და ვეღარ ვითარდება. ჩვენ კი უბედნიერესი ერი ვართ იმიტომ, რომ ის დიდი წარსული უკვე დიდი მომავლისაკენ გადასახედს გვიტოვებს.

დიდი მადლობა ყველა ამ საქმის ინიციატორს..."

ფესტივალის კულმინაცია კი გახლდათ ლეგენდარული „მზიურის" ბენეფისი, სადაც პრიმადონნად წოდებულმა თამარ გვერდწითელმა მიიღო მონაწილეობა, ის სპეციალურად ამ დღისთვის ჩამობრძანდა ჩვენს ფესტივალეზე მონაწილეობის მისაღებად.

***თამარ გვერდწითელი, ანსამბლ „მზიურის" წევრი:–*** „ძალიან მიხარია, რომ მონაწილე ვარ შესანიშნავი ფესტივალის და ზეიმის. ალბათ ყველა ჩვენთაგანის გულში ეხლა ცოტაოდენი ნოსტალგია სუფევს. დღევანდელი საღამო ღმერთმა შეგვაძლებინოს და ლამაზად ჩაგვატარებინოს.

დღეს გავიხსენე ძალიან ფაქიზი და ნაზი მოგონებები. მოხარული ვარ, რომ ბევრი ჩემი თანატოლი იქნება და ძალიან გახარებული ვარ..."



დასკვნითი სიმღერა პოპულარულმა ქართველმა მომღერალმა, ყოფილმა მზიურელმა თამარ გვერდწითელმა ახალგაზრდა მზიურელებთან ერთად შეასრულა...

ფესტივალს დაესწრნენ კულტურის სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები. ფესტივალის დასკვნით ნაწილს კი ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი მეუფე გერასიმე სასულიერო პირებთან ერთად სტუმრობდა.

საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ქარდავამ საკრებულოს გადაწყვეტილებით, ხობის საერთაშორისო ფესტივალის „სიმღერა სამეგრელოზე" ორგანიზებაში შეტანილი წვლილისთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდება ფონდ „ხობის" გამგეობის წევრს ბადრი ბერაიას, ბიზნესმენებს მერაბ ჭოჭუასა და თენგიზ ხარებავას მიანიჭა.

***მამუკა ქარდავა, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:–*** „ხობს და ხობელებს მინდა მივულოცო ის ფაქტი, რომ ხობი მეექვსედ მასპინძლობს უკვე ტრადიციადქცეულ საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე," რომელიც 2003 წლიდან, ორ წელიწადში ერთხელ საქველმოქმედო ფონდ „ხობის" პატრონაჟით ტარდება და რომლის სულისჩამდგმელი ხობის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია გახლავთ. ფესტივალს უდიდესი წვლილი შეაქვს ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში. წელსაც არაერთი უცხოელი ეწვია ჩვენს ქალაქს, რომლებიც დიდი სიყვარულით ააჟღერებენ მეგრულ ჰანგებს, ფესტივალი პროექტის ფარგლებში „მზიურის ფესვებიდან" მონაწილეობას იღებს ლეგენდარული „მზიური." დღეს ფესტივალს არაერთი გამოჩენილი და საპატიო სტუმარი ეწვია. ჩვენთვის უდიდესი პატივია ღირსეული მასპინძლობა გავუწიოთ სტუმრებს."

წელს ფესტივალის სტუმარი მთავრობის სხვა წევრებთან ერთად საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი** უნდა ყოფილიყო. პრემიერი გარკვეული მიზეზების გამო ფესტივალს ვერ დაესწრო, მაგრამ ფესტივალისადმი თავისი დამოკიდებულება მისასალმებელი წერილით გამოხატა:–„გულითადად მივესალმები ხობის ფესტივალის გახსნას. ეს ფესტივალი უკვე ათი წელია, რაც ტარდება და შესანიშნავ ტრადიციად იქცა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხობის ფესტივალს თავისი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში. სასიხარულოა რომ, ქართველებთან ერთად ამ ფესტივალში სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც იღებენ მონაწილეობას.

წარმატებებს ვუსურვებ ყველა მონაწილეს. დარწმუნებული ვარ, ტკბილ მეგრულ სიმღერას მსმენელი და გულშემატკივარი წელსაც მრავლად ეყოლება და იმედია, ეს ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება,"–ნათქვამია წერილში.

წლევანდელ ფესტივალზე მოეწყო სპეციალურად ფესტივალისთვის შექმნილი წიგნის–„დაჰკარით დაფდაფებს" (რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილის) პრეზენტაცია. ფესტივალის რეჟისორი გახლავთ სოსო ნემსაძე. ფესტივალის ორგანიზატორები არიან–„განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი," პრეზიდენტი–გოდერძი ბუკია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. აღსანიშნავია, რომ ფესტივალი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტარდება და მას თავიდანვე წარმატება და წინსვლა დაანათლა.

...ხობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე" დასრულდა... ხობელთა ამაღლებულ განწყობილებას მზიანი ამინდიც ალამაზებდა. ზეიმით აღფრთოვანებული მაყურებელი გრანდიოზული ფესტივალის დასასრულის მოლოდინში იყო, როცა ზეცა ულამაზესმა ფეიერვერკებმა დაამშვენა. ხალხი ჯერაც არ იყო დაშლილი, რომ ხობი კვლავ წვიმის ბურუსში გაეხვია... მოწვეული სტუმრები კი მათთვის საგანგებოდ გამართულ ბანკეტზე მიიწვიეს...

ჩვენ კი მომავალ ფესტივალს ახალი იმედებითა და ლამაზი სურვილებით 2015 წლამდე დაველოდებით!!!

**ნანა კემულარია**




## „დედაენა"

რუბრიკას უძღვება მანანა შულაია.

# „ქართულ ენაშია ჩვენი ქართველობა"



**ჩვენი რუბრიკა გრძელდება, მის აქტუალობაში მიღებულმა გამოხმაურებებმაც დაგვარწმუნა. კიდევ ერთხელ ვიცყვით, რომ ქართველი ერის ისტორიული განვითარების ყველაზე დიადი მონაპოვარი ქართული ენაა. მეცნიერული კვლევებით დადასტურებულია რომ ქართულ ენას, ოდითგანვე მიმართებანი აქვს დღეს გადაშენებულ წინა აზიის და შუამდინარეთის ხალხებთან, რომლებმაც დაარწიეს საკაცობრიო კულტურის პირველი აკვანი (შუმერები, ხეთები, ჰურიტები, ურარტელები, ელამელები).**

**ქართველმა თავისი ენის მიმართ ცნობიერი დამოკიდებულება სამარადჟამოდ აღბეჭდა, როცა მშობლიურ ენას „დედაენა" უწოდა. ენისა და დედის იდენტიფიკაცია ქართველი ერის მეტამორფული აზროვნების მშვენიერი მაგალითია და უცილობლად ადასტურებს ქართული ენის მნიშვნელობის ღრმად შეცნობას.**

**ქართულ ენას წარსულში დიდი დევნა და შევიწროვება განუცდია. მრავალცანჯულ და მრავალქარცეცხილგამოვლილ ენას დღესაც საფრთხე ემუქრება, იმდენადაა იგი გაბინძურებული სხვა უცხო სიტყვებითა—ბარბარიზმით. XIX საუკუნის კლასიკოსი გრიგოლ ორბელიანი, ერის დაღუპვის საწინდრად ეროვნული ენის გადაგვარებას და წაშლას მიიჩნევს „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ცაბარსა წმინდას!"**

**მიზანი, რომელსაც რუბრიკა „დედა-ენა" ემსახურება, სწორედ ენის სიწმინდის, მისი კულტურულ-ისტორიული ღირებულებების შენარჩუნება და იმ ადამიანთა აზრის გაგებაა, რომლებსაც კარგად ესმით დედაენის მნიშვნელობა და მისი როლი ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების საქმეში.**

**დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმრები არიან მწერალი ლაშა გვასალია, ფილოლოგები ჯულიეტა ქვარაია და მაია ალექსანდრია.**

**ლაშა გვასალია—მწერალი**

***მშობლიური ენა არის თუ არა ის „ბალავერი", რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს მთელი ცოდნის შენობა ქართულ სკოლაში, როგორ ახსნით ამ პროცესს?***

—თქვენი კითხვა პასუხიცაა, ამავდროულად. ენაშია ჩამზევებული გონითი სიმაღლე ერისა, ნაციისა და მხოლოდ ენას ძალუძს მარადიულობის შეგრძნების გაუკვდავება. ამიტომაც ენა ბალავარიცაა და საშენი მასალაც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისტორია ერთიან ეროვნულ ცნობიერებას მუდმივ, განუწყვეტელ გამოცდას უწყობს და უნდა ეცადოს ერი, გაუძლოს ამ გამოცდას და მოემზადოს ახალი გამოცდისთვის, რომელსაც დრო მას აუცილებლად ჩაუტარებს. აქ უმთავრესი ჯავშან-სამშვინველი ენის სისუფთავე და სიძლიერეა, რომლის საფუძველიც სკოლა, მასწავლებელი და ოჯახია. ასე, რომ სკოლა პროლოგია პიროვნების მამულიშვილად ჩამოყალიბებისა.

***როგორ ფიქრობთ, როდის უყალიბდება ადამიანს მშობლიური ენისადმი სიყვარული, ვინ და რა ახდენს გავლენას მის ჩამოყალიბებაზე?***

—ენა ბუნებრივად ემზევება ადამიანს და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი, ერთარსი. გარემო, ყოველდღიური ურთიერთობა ჯანღივით ილექება პიროვნების საზრისში და ნებსით თუ უნებლიეთ აღზრდის მის გონით სიწრფელეს, რაც უფალთან მიახლოების კეთილგონიერი საფუძველია. ენა ესთეტიკური და იდეოლოგიური სტრატეგიების ზოგად ტენდენციათა განმსაზღვრელიცაა, ამიტომაც სიფრთხილე მასთან მიდგომისა მრავალღონე უნდა იყოს მოქმედებისა და საქმიანობისა.

***ქართულმა ენამ თავისი განვითარების გზაზე ბევრი საფეხური გაიარა. რა მდგომარეობაა დღეს, რა საფეხურზე იმყოფება იგი?***

—ენა ცოცხალი ორგანიზმია და განვითარების იგივე ეტაპები გაიარა, რაც თვით ადამიანმა, ერმა. ქართველი კაცი, როგორც ვენახს დაჰ ყურებდა თვალმზედანატრული და მზრუნველობდა მასზე, ენაზეც იგივე თავდადებით იბრძოდა და შექმნა სამი საუნჯე ილიასეულად აცამაღლებული: „მამული, ენა, სარწმუნოება"... ენის განვითარების მეცნიერულ ეტაპზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. მხოლოდ ის გავიხსენოთ, ქართულად ბიბლია პირველად 1743 წელს დაიბეჭდა მოსკოვში ბაქარ ბაგრატიონის ინიციატივით, მას შემდეგ ბიბლია კიდევ მრავალგზის გამოიცა და მათი შედარებაც დაგვანახებს თუ, როგორ ვითარდებოდა



# დიდება უფალს, დიდება ენას!..

ენა და როგორ იზრდებოდა მისი გამომხატველობითი შესაძლებლობანი.

მადლობა უფალს, დიდი შინაგანი მრავალგვარობა გვახასიათებს, ლიგვინსტურის ჩათვლით, ეს ჩვენი ღვთაებრივად ბოძებული სიმდიდრეა. ერის ერთიანობას ქმნის არა შინაგანი ერთგვაროვნება, არამედ ერთობლივი მიმართება დანარჩენ კაცობრიობასთან, ერთობლივი პოზიცია მის პირისპირ და მის წინაშე.

ერი ერთიანია გენეტიკურად და იმით, რომ ამ სახისა და პოზიციის შექმნა და დაცვა მხოლოდ ენასთან ერთად შეუძლია და არავითარ შემთხვევაში მასთან დაცალკავებულს.

ენის დაცვას უცილოდ სახელმწიფოებრივი მიდგომილობა სჭირდება, არა მხოლოდ ენის დაცვის პალატის სახით, არამედ სახელმწიფოებრივი კონცეფციის ჩამოყალიბებითა და ცხოვრებაში მისი გატარებით. სამწუხაროდ, დღეს ყოველივე ეს მოშლილია და ქართული ენის ნორმებს საზღვრავენ უმეტესად უვიცი, „ჩიქორთულად" მოლაპარაკე ჟურნალისტები და პოლიტიკოსები. ენა ერთიანი, შეკრული ორგანიზმია და უხეშმა ჩარევამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ჯანსაღი ქსოვილების ავადობა და კვდომა. ეს მომენტი შეიძლება შევადაროთ სახარებისეულ კანონზომიერებას. სახარებაში არც სიცილია და არც შეყვარებულობა. მათი ერთი წვეთიც კი საკმარისია, რათა საოცარი წიგნის ყველა გვერდი ფერფლად იქცეს და „განიპოს კრეტსაბმელი" ქრისტიანობისა. ასეა ენაც!..

**რატომ ბინძურდება ენა, ყველამ ვიცით, თქვენი აზრით, რაშია გამოსავალი?**

—მათე მახარობლის სიტყვებია: „არა პურითა ცხონდების კაცი, არამედ ყოველითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმერთისა", ჩვენ ასე მივუდგეთ ამ დიდებულ სენტენციას: აზრის გამოხატვის, საშუალების, შესაძლებლობისა და ნიჭის ძალისხმევით ამაღლდება ადამიანი, რომლის ლიბოც ენაა მხოლოდ, გადმოცემის საშუალება და საფუძველი.

ენის გადარჩენა მის მარადიულად განახლებაშია, მაგრამ არა უცხო სიტყვით—ბარბარიზმებით, არამედ ქართველური ენებიდან აღებული სიტყვებითა და ბუნებრივი კომპოზიტებით. აქ კი თავი უნდა გამოიჩინონ ენათმეცნიერებმა და მწერლებმა. უნდა გვახსოვდეს, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ თანამედროვე ქართულში შემოიტანა შემდეგი სიტყვები: ქვემეხი, კუბოკრული, ძგიდე, მეინახე და სხვა, რუსიციზმის: „ორუდიეს", „კლეტჩატის", „კანტის", „სოტრაპეზნიკის" გასაძევებლად. ასევე, ნიკო ლორთქიფანიძემ როდინი შემოიტანა რუსული ვაგონის სანაცვლოდ.

ჭეშმარიტებისდარად, ენასაც ერთადერთი საზომი უნდა ჰქონდეს—არასდროს დაკნინდეს და მუდმივად ვითარდებოდეს. ამისთვის კი სკოლა და უმაღლეს სასწავლებლებში ენის განვითარებას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება.

უდიდესი მადლიერებით ვარ აღვსილი „ქართული ოცნების" მიმართ, რადგან პირველი, რაც მან გააკეთა გახლავთ ფილოლოგიური და საერთოდ, ქართველოლოგიური ფაკულტეტების აბსოლუტური დაფინანსება და მთარგმნელობითი სკოლის გაცოცხლება. ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იქნება ქვეყანაზე თუ რაბლეს „გარგანტუასა და პანტაგრუელის" გურამ გოგიაშვილისეული თარგმანის დარი ტილო კვლავ შეიქმნება და გავხდები მომსწრე ქართული ენის სასწაულებრივი ზეიმისა.

ერთი საოცარი თქმაა ქართულში: „სიფაქიზისა და სისათუთის გამო, ვენახს ქარის ჩრდილისაც კი ეშინია, ენას კიდევ ბარბარიზმების ღრუბლისაო!"

***როგორც ვიცით, საკანონმდებლო ორგანოში შევიდა კანონპროექტი ქართული ენის შესახებ. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?***

—არა საკანონმდებლო აკრძალვები, არამედ ენის განვითარების კონცეფცია მოაგვარებს პრობლემას. არა მგონია, ლიტერატურული ქართულით მეტყველება შეძლონ უმეტესად „ბლუყუნა" პოლიტიკოსებმა და გაუგებრად მომეტყველე ჟურნალისტებმა. ჩვენ გამოვტოვეთ ენის განვითარების მეტადმნიშვნელოვანი ეტაპი, რომლის შევსებაც უთუოდ წაადგება პრობლემის მოგვარებას. ამაზე კი იზრუნებს ზემოთ ჩვენს მიერ დასახელებული კონცეფცია და შესაბამისი ორგანო.

მოდით, მე ისევ ლიტერატურაზე გადავალ. ცნობილ პოლონელ პოეტ ნორვიდს ასეთი შინაარსის ლექსი აქვს: მთავარსარდალმა შეტაკების წინ გააშიშვლა ხმალი და ბრძანა: აბა მომყევით, ლომებო, ვეკვეთოთ მტერს, რათა დავიცვათ ენა ჩვენი და ერი ჩვენიო."—გამოვიდა ერთი პოეტი და მიუგო მთავარსარდალს: ხმალი შენი მჭრელია და მამაცი, წინამძღოლო, მაგრამ მე თუ ამალამ პოემა არ გავასრულე, ჩვენს მშობლიურ ენას სხვა ვერაფერი დაიცავსო."

მიმიხვდება ძვირფასი მკითხველი, ვინ და რამ უნდა დაიცვას და გადაარჩინოს ენა!

***რამდენად უფრო განვითარებულია ერი, იმდენადვეა მისი ენაც განვითარებული ეთანხმებით თუ არა ამ სიტყვებს?***

—ეს კანონზომიერებაა, უთუოდ თეორემა, კაცობრიობის ბუნებრივი განვითარებისა, რომლის დასტურად ის ლიტერატურული ძეგლები გამოდგება, მსოფლიოს რომ უმემკვიდროვა საქართველომ „ვეფხისტყაოსნის", ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ჯავახიშვილის, გამსახურდიას, ინანიშვილისა და სხვა გენიოსთა ქმნილებებით. რომ არა გონითი სიმაღლე და კულტურული სიმწიფე ერისა, ვერც უკვდავი ნიმუშები ჩვენი კლასიკური ლიტერატურის ვერ შეიქმნებოდა და ვერ ამაღლდებოდა „ცათა შინა".

თავს ნებას მივცემ, აქვე გავაერთიანო შემდეგი კითხვაც, ვერანაირი კრიტერიუმი ენას ვერ მოშლის, რადგანაც ენას, როგორც კულტურის განუყოფელ ნაწილს, გააჩნია ინტეგრაციული ფუნქცია, ინტეგრაცია ნიშნავს დაკავშირებას, შერწყმას, მთლიანობისკენ მოძრაობას და ჩვენი მოვალეობაა, სიცოცხლე ენისა, დანარჩენს კი თავად იქმნის ენა და ისე ჩაჯიჯგვდება მიწაში, ვერანაირი ქარიშხალი ძვრას ვერ უზამს!..

ერთი რამ მაიმედებს მუდამჟამს: როცა შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, კონსტანტინე გვყავს, დაცული ხარ, შენს ენასა და ერად ყოფნას არაფერი ემუქრება. ეს იმას ჰგავს, სიბერის რომ არ გეშინია, სანამ დედა გყავს ცოცხალი. ამ დაცულობის ხარისხს თითქოს წონა ემატება, როცა ერის გამორჩეული ნაწილი შენსავით ფიქრობს, ამაში კი მადლობა ღმერთს, დარწმუნებული ვარ.

***თქვენი საყვარელი სტრიქონები მშობლიურ (დედა) ენაზე?***

—ასეთი სტრიქონები უამრავია, მაგრამ მუდმივად, როცა ენაზე ვფიქრობ თუ ვსაუბრობ, მახსენდება რევაზ ინანიშვილის სიტყვები: „ენა დედა შენი ღმერთისა, შენი უფალი კი სამშობლოა შენი. სალოცავია ორივე და ძალგულოვნად ემზევება სამყაროს, ნიშნად გადარჩენისა და მარადიულობისა!.. დიდება უფალს! დიდება ენას!.. ამინ!

გმადლობთ!



# „დედაენა“

რუბრიკას უძღვება მანანა შულაია.

## „ქართული ენაშია ჩვენი ქართველობა“

# „მალე ქართული ენის არსებობაზე მოგვიწევს საუბარი“

ჯულიეტა ქვარაია–ფილოლოგი

***ქართული ენა ქართველი ერის ისტორიული განვითარების დიდი მონაპოვარია. როგორია მისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა?***

–ქართული ენა არ არის მხოლოდ ურთიერთობის, აზრთა გაცვლის, კომუნიკაციის საშუალება. განსაკუთ-



რებულია მისი ისტორიული თუ კულტურული ღირებულება. სამშობლო, ეს არის მამულის, რწმენისა და ენის ერთიანობა. ილიასეული სამი ღვთაებრივი სიწმინდის გარეშე არ არსებობს საქართველო. უფრო მეტიც, X საუკუნის ჟამთაღმწერი ლეონტი მროველი გვამცნობს, რომ ,,ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების...“ რაც კიდევ უფრო განამტკიცებს სამშობლოს ჩვენეულ გააზრებას. არც ისაა შემთხვევითი, რომ ქართულ ენას ,,სახარებასა შინა ლაზარე ჰ ქვიან“ ამდენად, მალზე დიდია მისი, როგორც ისტორიული, ასევე კულტურული მნიშვნელობა.

***თქვენ წარმატებული ფილოლოგი ბრძანდებით, საიდან მოდის თქვენში ქართული ენის სიყვარული. ეს თქვენი პირადი მოწოდება იყო თუ ვინმემ ითამაშა როლი, რომ თქვენ ეს საგანი აგერჩიათ?***

–არ ვიცი რამდენად იყო მოწოდება, ბევრჯერ მიფიქრია, სწორად ავირჩიე თუ არა პროფესია, თუმცა, იმდენად სუბიექტური ვარ, ჩემზე ზეგავლენა ძნელი იქნებოდა. გარკვეულწილად არ უარვყოფ ჩემი ქართულის მასწავლებლის, ბიძაჩემის ვაჟა ქვარაიას როლს, თუმცა გამოგიტყდებით და გულწრფელად პირველად გეტყვით, მე-6 კლასში, როცა თქვენ სრულიად ახალგაზრდა, მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, ძალიან კარგი და საინტერესო მასწავლებელი შემობრძანდით ჩვენთან, კარგად მახსოვს, როგორ ვოცნებობდი ბიოლოგიის მასწავლებლობაზე და ზაფხულობით დასასვენებლად მთაში წასულები, როგორ ვაგროვებდით მთის ყვავილებს, პეპლებს ჰერბარიუმებისათვის მე და ჩემი და.

***როგორ შეაფასებდით დღეს ქართული ენის მდგომარეობას მისი სიწმინდის მხრივ?***

–ძალიან ცუდად შევაფასებდი. სიწმინდეზე კი არა, ალბათ, მალე ქართული ენის არსებობაზე მოგვიწევს საუბარი. ენა, რომელსაც ქართველმა ერმა მოწიწებით დედა უწოდა, უმოწყალოდ ირყვნება ყველგან, განსაკუთრებით კი მედიასივრცეში. იმდენად მაშტაბური გახდა ეს პროცესები, რომ თითქმის თანაბარია სოციალური სანქცია მართლზომიერ და არამართლზომიერ ფორმებს შორის. ეს იმდენად კატასტროფულია, რომ მხოლოდ ქართულის გაკვეთილები სკოლაში ვერ გამოასწორებს მდგომარეობას, რადგან მედიასივრცე ყველაზე თვალსაჩინო მასწავლებელია საზოგადოებაში. თუმცა ცუდი მეტყველება არა მარტო ენის არცოდნის, არამედ ცუდი განათლების ბრალიცაა, რადგან მეტყველბა და აზროვნება რამდენადმე ერთდროული პროცესია, ვსაუბრობთ ისე, როგორც ვაზროვნებთ.

***თქვენ იყავით ,,ენის პალატის“ ხობის წარმომადგენელი, დღევანდელი გადასახედიდან, იყო თუ არა მისი მუშაობა ეფექტური, საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა დღეს მსგავსი ინსტიტუტების არსებობა?***

–,,ენის პალატა“ იყო და იქნება ყველა დროის აქტუალური ინსტიტუტი, რომელიც აკეთებდა ყველაზე ეროვნულ, ყველაზე პატრიოტულ საქმეს; აკეთებდა რეალურად, იცავდა ენას, ხვეწდა. ყველაზე ცოტა, რაც ,,ენის პალატამ“ გააკეთა, ეს იყო სამოქალაქო ცნობოერებაში ენის როლის, ქართული ენის ცოდნის აუცილებლობის დადგენა, რომელიც დიდი ხანია საკითხადაც არ დგას და სახელმწიფო ენის არა თუ ფლობის, საშუალო დონეზე ცოდნის მოთხოვნა თვით საჯარო მოხელეებისთვისაც ერთ-ერთ სასხვათაშორისო მოთხოვნად რჩება, ალბათ, იგულისხმება, რომ ისედაც ვიცით?

ენის პალატის მუშაობა ნამდვილად ეფექტური იყო. ეს არ იყო სამსახური სამსახურისთვის. არცერთი ოფიციალური დოკუმენტი ქართული ენის პალატის წარმომადგენლის კონსულტაციის გარეშე არ იგზავნებოდა, დამემოწმებით, რომ ეს არაფერს არ აფუჭებდა, პირიქით, ძალიან შრომატევადი საქმე იყო, თუმცა -საჭირო. მუდმივად გვახსენებდა ქართული ენის დაცვის ვალდებულებას, რომელიც თურმე, ძალიან გვჭირდება, რადგან ,, ენის პალატის“ გაუქმების შემდეგ სახეზეა, რაც ხდება.

მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ზემოაღნიშნული საკითხი გაცილებით აქტუალური იყო სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ურთულეს პერიოდში, როცა ,,გაყინული იყო“ პენსიები, ხელფასები, ანუ ყოფითი თვალსაზრისით გაცილებით მძიმე მდგომარეობა გვქონდა, ვიდრე შემდეგ.

დღეს, ვიმეორებ, რომ ყველაზე მამულიშვილური საქმე იქნება მსგავსი ინსტიტუტის არსებობა, მის გარეშე ჩემთვის გაუგებარია, როგორი ფორმით უნდა მოხდეს ენობრივი შეცდომების გამო დაჯარიმება, ან დაჯარიმება რამდენად მოიაზრებს ენის სიწმინდის დაცვას, თუმცა კარგია, რომ რაღაც დონეზე ეს საკითხი დაიძრა.

***როგორც ქართული ენის მასწავლებელს, მიგაჩნიათ თუ არა ენის სწავლება სკოლაში საკმარისად, არის თუ არა იგი ენის სრულყოფილად დაუფლების გარანტი, თუ არა, რა უნდა შეიცვალოს?***

–ენა სკოლაში ნამდვილად ისწავლება; შეცვლილია მისი სწავლების ფორმა. თუკი ჩვენ მკაცრად ვსწავლობდით გრამატიკულ წესებს, ამჟერად ყურადღება გადატანილია არა წესებისა და დებულებების ცოდნაზე, არამედ სწორედ მართლწერისა და მართლმეტყველების არა მარტო სწავლაზე, არამედ უნარის გამომუშავებაზე, მის პრაქტიკულად გამოყენებაზე, რაც უფრო მეტი გარანტია გამართული წერითი თუ ზეპირი მეტყველებისა. ასე, რომ, შეიძლება წესი იცოდე, მაგრამ სწორად ვერ მეტყველებდე, ან წესი არ იცოდე და სწორად მეტყველებდე. ყველა შემთხვევაში მთავარი შედეგია.

***თქვენი მეორე პროფესია, ეს არის ,,სცენა“, ბევრს ახსოვს თქვენს მიერ ჩატარებული ღონისძიებები, კომპოზიციები, ლიტერატურული სალონები, იყავით დეკლამატორი, ხელმძღვანელობდით კულტურის დარგს, როგორ შეაფასებდით თქვენს საქმიანობას?***

–პროფესიაზე არ მაქვს პრეტენზია, თუმცა სცენა ჩემი ჰობი, გატაცება, სტიქია ნამდვილად იყო. ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ სფეროში მომეცა შანსი საკუთარი თავის რეალიზებისა, რაშიც ჩემს პროფესიას, ფილოლოგობას ნამდვილად ხელი არ შეუშლია - პირიქით. ხშირად ვამბობ, ტექნიკური განათლება რომ მქონოდა, ალბათ, ასე ლაღად თავს ვერ ვიგრძნობდი ამ სფეროში. შეიძლება იყო კარგი მენეჯერი... მაგრამ კულტურა მოითხოვს შემოქმედ თვალს, სხვა კრეატივს, გემოვნებას. ცოტა არ იყოს, ჩახედული უნდა იყო, რომ თავი უსუსურად არ იგრძნო.

გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ნამდვილად ვიყავი მაქსიმალისტი, პრეტენზიული, ზეაღმატებულად მომთხოვნი, რაც საქმეს, და, მით უმეტეს, კულტურას ძალიან უხდება. კულტურა მდაბიო, საშუალო, ,,ნელთბილი“ არ შეიძლება არსებობდეს. რაც არ უნდა გციოდეს, რაც არ უნდა ზამთარი იყოს, ჯინსზე ჩოხა არ უნდა გადაიცვა, არც უქამარხანჯლოდ ივარგებს ჩოხა, რადგან ის სულთნის ხალათი კი არ არის, ქართული ეთნოკულტურის უმთავრესი ღირებულებაა, რომელსაც თითოეულმა ქართველმა უნდა ვცეთ პატივი, არა თუ კულტურის მუშაკმა, რა ვქნა, მომიტევეთ, თუ ამას პრეტენზია ქვია...

რაც შეეხება შეფასებას, მე ვფიქრობ, რომ ხობის საზოგადოებამ ნამდვილად შემაფასა, რისთვისაც დიდი მადლობა. მეტსაც გეტყვით, არც დღევანდელ ხელისუფლებას დაუწუნებია ჩემთვის პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა.

ბოლოს, ჩვენი საუბარი გამოსამშვიდობებელს რომ არ დაემსგავსოს, მინდა აღვნიშნო, რომ სადაც არ უნდა ვიყო, კულტურაში, სკოლასა თუ გამგეობაში, ვეცდები, ჩემი სათქმელი ყველგან ვთქვა და საკუთარი ნიშა, რომელიც ყოველ ადამიანს თავისი გააჩნია, ღირსეულად ვატარო, რადგან ვთვლი, რომ პერსონები ქმნიან სამსახურს.

***გმადლობთ.***

# ენის სიყვარული გენეტიკური მეხსიერებიდან მოდის



მაია ალექსანდრია–ფილოლოგი

***რას ნიშნავს თქვენთვის დედაენა?***

–არსებობს ისეთი თემები, რომელიც შენი ნაწილია, ერთდროულად სულისაც და ხორცისაც. მისით იწყება არსებობა და მისითვე მთავრდება. მის გარეშე წარმოუდგენელია ყოფა. ასეთ სისხლხორცეულ საკითხზე ცალკე, საგანგებო ფიქრი არ გიწევს, არ ემზადები რაღაცის საპასუხოდ. ის ბუნებრივად თან სდევს ყოფიერებასაც და ცნობიერებასაც. სწორედ ასეთია ჩემთვის დედაენა. მშობლიური ენის სიყვარული ქართული გენეტიკური მეხსიერებიდან მოდის, ჩემში ამოდის და მისი სიყვარულით, პატივისცემით, ერთგულებით ვცხოვრობ. ჩემს მშობლებთან, ძმასთან, შვილთან, ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, მოსწავლეებთან და ყველასთან, თითქმის ყველასთან ამ ენით ვურთიერთობ, ვუზიარებ ლხინსაც და ჭირსაც.

დედაენა ჩემია, ჩვენია. ამას ნიშნავს ჩემთვის მშობლიური ენა.

***როგორი იყო და როგორი არის დღეს ქართული ენის მნიშვნელობა საქართველოს გაერთიანების საქმეში?***

–ქართული ენა ოდითგანვე საფუძველი იყო ქართველთა ერთობისა, ძლიერებისა, ქართული უკვდავებისა. ქართული ენა უზრუნველყოფს მრავალსაუკუნოვანი კულტურის ერთობას. ამ კითხვაზე პასუხი ილია ჭავჭავაძემ ლაკონურად და გენიალურად გასცა: ქართული არის ქართველთა „ღვთაებრივი საუნჯე“. აკაკისაც და გრიგოლ ორბელიანსაც დავესესხები: ქართული არის „უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა“ და „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...“

***სჭირდება თუ არა სახელმწიფო ორგანო ქართული ენის სიწმინდის დაცვას (ენის პალატა)?***

–რა თქმა უნდა, სჭირდება. ქართული ენა სახელმწიფო ენაა. სახელმწიფო ენაზე კი, პირველ რიგში აუცილებლად სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რათა გარანტირებული იყოს მისი კონსტიტუციური სტატუსის დაცვა.

ქართული ენის სადარაჯოზე თითოეული ქართველი უნდა იდგეს, მაგრამ ამ თითოეულს რაღაც თუ ვიღაც გამაერთიანებელი და ერთი კონკრეტული პასუხისმგებელი სჭირდება. ასეთი კი სახელმწიფო ორგანო იქნება ჩემი აზრით. ენის სახელმწიფო პალატის ფუნქცია ხომ სწორედ ესაა–ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსისა და სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის უზრუნველყოფა; სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის განხორციელება.

ენის პალატა იქნება ორგანო, რომელიც კონტროლით, ზრუნვით და კიდევ მრავალი აქტივობით ჩვენთან ერთად მოახერხებს ქართული ენის სიწმინდის დაცვას.

***როგორ ფიქრობთ, რატომ „ბინძურდება“ ენა დღეს, რაში ხედავთ გამოსავალს?***

–ბინძურდება იმ მიზეზით, რაც ზემოთ ვთქვი. ბინძურდება იმიტომ, რომ ხშირად უდიერად ვექცევით, არ ვუვლით, არ ვზრუნავთ. ხშირად სხვა ენაში „განსწავლულები“ ხელოვნურად, ვამდიდრებთ რიტმსაც, ტონალობასაც, ჟღერადობასაც ვუცვლით და ამით თავი მაგრები გვგონია. ქართულს არ სჭირდება ზედმეტობები, ზიზილპიპილოები. ის ყველაფერს, ყველანაირ სათქმელს იტყვის არაჩვეულებრივად და მას ჩვენი „დახმარება“ არ სჭირდება.

***მიგაჩნიათ თუ არა საკმარისად წერის კულტურის სწავლების დღევანდელი დონე სკოლებში?***

–პირდაპირ ვიტყვი–არა. ამ მხრივ ძალიან ბევრია საფიქრალი და შესაბამისად, სამუშაოც. ეს დიდი პრობლემაა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას. წერის კულტურა ყოველთვის მტკივნეული საკითხი იყო ქართული ენის სწავლებაში, მაგრამ დღეს განსაკუთრებული სიმწვავით გამოიკვეთა. არა მარტო ჩვენი მოსწავლეები, ზოგადად ქართული საზოგადოება ვერ წერს გამართულად, მით უფრო, წიგნიერად, ენობრივი ნორმების დაცვით. ეს რთული საკითხია, მაგრამ მის მოწესრიგებაზე აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ.

***ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ეხება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას?***

–ამ კითხვის პასუხად წინა შეკითხვას მივუბრუნდებოდი, ისევ იგივეს დავასახელებდი.

***ამბობენ, რომ მოსწავლეს ამა თუ იმ საგანს მასწვლებელი აყვარებს. თქვენს შემთხვევაშიც ასე იყო ქართულ ენასთან მიმართებაში?***

–ცოტა სხვანაირად. პირველ რიგში დედას, დალი თუთბერიძეს „დავაბრალებდი“ ქართული ენისა და ლიტერატურის შეყვარებას. ქართულის მასწავლებლებიც არაჩვეულებრივი მყავდა, მაგრამ გული მიუკერძოებლად მაინც ჩემს უფროს მეგობარს ბატონ გივი რუსიას მთავაზობს უწინარესად სათქმელად. ბატონი გივი, ჩემი სკოლის მასწავლებელი არ ყოფილა, მამასთვის დაუბარებია ერთხელ, შენი გოგო მოვიდესო, მერე მისკენ ხშირად მიმიწევდა გული სასაუბროდ და ჩვენი ურთიერთობის უმთავრესი თემა ქართული ენა იყო. მას არასდროს ბეზრდებოდა ჩემი მასპინძლობა და დაკვალიანება მშობლიური ენის სიღრმეებსა თუ სიმაღლეებში. თავიდან მერიდებოდა და დედას გამოვიყოლებდი სითამამისთვის, მერე კი სიხარულით მივდიოდი და ბედნიერი, ემოციებით დატვირთული ვბრუნდებოდი შინ. ის ყველაფერი საგზალივით მომყვება დღემდე. გივი მასწავლებლის ნაჩუქარ წიგნებს მოწიწებით გადავუსვამ ხელს და მის წერილებსაც გადავიკითხავ ხოლმე პროფესიული შეჭირვების ჟამს.

***თქვენი საყვარელი სტრიქონები, რომელიც შეეხება ქართულ ენას?***

–რამდენიმე წამოვიდა ერთად, მაგრამ ამას გამოვყოფდი:

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა, იმოდენაა!“

***რა შეკითხვა ვერ დაგისვით?***

–ალბათ ასეთ კითხვას დავსვამდი: რას შეახსენებდით ქართველებს ქართულ ენასთან დაკავშირებით?

და პასუხად შევახსენებდი იოანე ზოსიმეს სიტყვებს: „დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა ენითა და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა ამას ენასა ლაზარე ჰ ქვიან. და ესე ენა შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული მოელის დღესაც მას მეორედ მოსვლისა უფლისასა“.

# საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება №15/2013

*ქ. ხობი* *2013 წლის 26 სექტემბერი*

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიების პერსონალური შემადგენლობის ცნობის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 03.02.2012 წლის №04/2012 დადგენილების, №66 ხობის საარჩევნო ოლქის 32-ვე საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22-23 სექტემბრის №01/2013; 02/2013; 03/2013; №25 ხამისქურის საუბნო საარჩევნო კომისიის 23.09.2013 წლის №05/2013; №1 ქ. ხობის და №23 შუა ხორგის საუბნო საარჩევნო კომისიების 25.09.2013 წლის №05/2013 განკარგულებების საფუძველზე ვადგენ:

მუხლი 1. ცნობილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის N66 ხობის საარჩევნო ოლქის 32-ე საუბნო საარჩევნო კომისიის პერსონალური შემადგენლობა დანართის შესაბამისად(თან ერთვის).

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე მინდია ლომაია

## №1 ქ.ხობი

1. ვეკუა გურამი

**თავმჯდომარე**

2. ფარცვანია ბესარიონი

**მოადგილე**

3. ხვიჩია აბესალომი

**მდივანი**

4. კილასონია მაყვალა
5. პერტია თამარი
6. ხახუბია ეკა
7. ჯობავა ვილენი
8. არაჩემია მაია
9. ბერაია დოდო
10. ჭანტურია გოდერძი
11. ქებურია იოსები
12. ზაქარაია გულიკო
13. შულაია რამაზი

## №2 ქ. ხობი

1. თათარიშვილი მანანა

**თავმჯდომარე**

2. ჯობავა კარლო

**მოადგილე**

3. ნანეიშვილი ზურაბი

**მდივანი**

4. თირქია ვლადიმერი
5. იოსავა მარინე
6. ყურაშვილი ეკა
7. ლაგვილავა ლიანა
8. მიქიაშვილი მაია
9. კორტავა ელზა
10. ბუკია ლეილა
11. ქარჩავა ნინო
12. ლატარია ლეილა
13. თუთბერიძე კობა

## №3 ქ. ხობი

1. ბერაია ნიკოლოზ

**თავმჯდომარე**

2. ძიძიგური ლევან

**მოადგილე**

3. ქადარია ნანა

**მდივანი**

4. თუთბერიძე ირინა
5. ქირია ბესიკი
6. ქურსუა ირმა
7. ხარებავა ტარიელ
8. შამათავა ალექსანდრე
9. ხვიჩია თეა
10. ბუსქანძე მაია
11. წურწუმია შოთა
12. ქვარცხავა ნათელა
13. ტყებუჩავა ემა

## №4 ახალი ხიბულა

1. ვეკუა მელორი

**თავმჯდომარე**

2. სოსელია კობა

**მოადგილე**

3. ბერაია ნონა

**მდივანი**

4. გოგინავა ლია
5. საბეკია სოფიო
6. ქაჯაია მაია
7. ჯაბურია მაია
8. ჯიშკარიანი ვახტანგი
9. კირთაძე მანუჩარი
10. ჩართია ლალი
11. წურწუმია ლუიზა
12. ხაბურზანია თეიმურაზი
13. ყუფუნია მაკა

## №5 ახალსოფელი

1. ნაცვლიშვილი კუკური

**თავმჯდომარე**

2. რიჟამაძე ქეთევანი

**მოადგილე**

3. უბილავა რუსუდან

**მდივანი**

4. ადანაია ჰამლეტი
5. მაჭარაშვილი კახა
6. ნადარაია ნონა
7. გოგია სეხნია
8. ჯანელიძე ეკა
9. პაპავა სოფიო
10. კანკავა გიორგი
11. ნადარაია ჯემალი
12. ჯოჯუა ნინო
13. ადეიშვილი გრიშა

## №6 ბია

1. იოსავა ელიზა

**თავმჯდომარე**

2. თოდუა მერაბი

**მოადგილე**

3. თუთბერიძე ალიკა

**მდივანი**

4. გვირგვლიანი მზია
5. იოსავა მურადი
6. შონია მიხეილი
7. ჭითაშვილი ინგა
8. ბიგვავა ნატო
9. შონია ლიკა
10. არჩილია ეკატერინე
11. კარტოზია ლადო
12. შონია გია
13. შონია თამაზი

## №7 პირველი მაისი

1. კვიკვინია მამუკა

**თავმჯდომარე**

2. ხუხია ნინელი

**მოადგილე**

3. კაჭარავა სოფიკო

**მდივანი**

4. ალანია თეა
5. ბუკია ლიკა
6. კვირტია თინათინი
7. ქანდარია შორენა
8. ქანდარია თამრიკო
9. კვიკვინია ნინო
10. იზორია მადონა
11. ბუკია ელდარი
12. სორდია ნანა
13. სოსელია ლალი

## №8 გურიფული

1. ხვითარია ზურაბი

**თავმჯდომარე**

2. ჭაავა დავითი

**მოადგილე**

3. ყორშია რუსუდანი

**მდივანი**

4. კაკულია ია
5. კულუა ლალი
6. ძიძავა გალაქტიონი
7. ჯაბურია დემური
8. არაჰამია დარეჯანი
9. გეგეჭკორი ძაბული
10. წურწუმია ლუიზა
11. სიორდია მალხაზი
12. გვასალია ლევანი
13. ეშბა ნუნუ

## №9 ზემო ქვალონი

1. ფაჩულია როინი

**თავმჯდომარე**

2. ჭანტურია ნანი

**მოადგილე**

3. კილასონია თეა

**მდივანი**

4. აბაკელია დიანა
5. ალანია ინგა
6. დოლბაძე მანანა
7. თურქია ელგუჯა
8. ალანია გულიანა
9. კორძახია თამარ
10. ფაჩულია შორენა
11. აბშილავა ლელა
12. ჭანტურია ინდირა
13. მატუა ირმა

## №10 თორსა-დღვაბა

1. დვალიძე ლალი

**თავმჯდომარე**

2. შელია ლავრენტი

**მოადგილე**

3. გვაჯაია ვანელა

**მდივანი**

4. ანთია აზა
5. კაცია ალბინა
6. ლემონჯარია მზია
7. ხარჩილავა ლია
8. პერტია ხათუნა
9. შელია აკაკი
10. ლატარია დავითი
11. ჯგერენაია ლაშა
12. დვალიძე ელგუჯა
13. ლატარია თათია

## №11 ნოჯიხევი

1. აბრამია ლევანი

**თავმჯდომარე**

2. ჯანჯღავა ლევანი

**მოადგილე**

3. ხასაია ინგა

**მდივანი**

4. ალანია ნანა
5. ბასილაია ეკა
6. ჩიტაია ანნა
7. ცქირია მაია
8. ზარანდია ჯულიეტა
9. კუჭავა ნინო
10. კოხია ელისო
11. ფაჩულია ბაჩუკი
12. წულეისკირი ქეთევანი
13. შონია კოტე

## №12 პატარა ფოთი

1. ბასილაია ნინო

**თავმჯდომარე**

2. ბართია შორენა

**მოადგილე**

3. თარხნიშვილი იზა

**მდივანი**

4. ნანავა დედისიმედი
5. ნანავა პეტრე
6. სარალიძე გიორგი
7. წულაია ირაკლი
8. წულაია მარიკა
9. ხუბულია ეკატერინე
10. დღვილავა ნუგზარი
11. წითლიძე გულადი
12. ზარანდია თეკლე
13. ჯობავა ნათელა

## №13 პირველი ხორგა

1. ბერაია სოფიო

**თავმჯდომარე**

2. სალაყაია ნანი

**მოადგილე**

3. კორტავა ნანა

**მდივანი**

4. კორტავა რომანოზი
5. მაშავა მარინე
6. სორდია ირინა
7. ჭაჭია ლალი
8. ჭაჭია როლანდა
9. ჩიტაია ინგა
10. ჭანტურია მაია
11. ბერაია ნაირა
12. სალაყაია ზურაბი
13. ბერაია გელა

## №14 საგვიჩიო

1. გელაშვილი გია

**თავმჯდომარე**

2. სულამანიძე ზვიადი

**მოადგილე**

3. სამხარაძე მარინა

**მდივანი**

4. გოგატიშვილი მამუკა
5. გოგოლაძე თეონა
6. გულიაშვილი ლეილა
7. შუბითიძე ელდარი
8. გურული მურმანი
9. გოგატიშვილი გოგა
10. გოგატიშვილი ეკა
11. ლომიძე მარინე
12. შუბითიძე სერგო
13. შუბითიძე ლელა

10

9<<<<<<<<<<

## №15 საჯიჯაო

1. ტყებუჩავა თენგიზ
**თავმჯდომარე**
2. კაკაშვილი ქეთო
**მოადგილე**
3. ხუნჯუა ლამარა
**მდივანი**
4. ქაჯაია ლია
5. შონია მარინე
6. ჯახია მალხაზი
7. წირღვავა ელზა
8. თირქია ლუდმილა
9. ჭაჭია ნუნუ
10. ფოცხორაია ლამარა
11. კვარაცხელია თამარ
12. მაშავა ნინო
13. კონჯარია პაპუნა

## №16 საჯიჯაო

1. ჯალაღონია როზა
**თავმჯდომარე**
2. ვეკუა გელა
**მოადგილე**
3. ქვარცხავა ბელა
**მდივანი**
4. გრიგოლია ვალიკო
5. ლიპარტია ვარდენ
6. ნადარაია ელგუჯა
7. შამათავა ქეთევანი
8. თირქია სვეტლანა
9. შამანაძე მანანა
10. ჭაჭია ქსენია
11. ნადარაია კორნელი
12. სერგია ნინო
13. ხოშტარია თინა

## №16 ბ/საჯიჯაო

1. ლემონჯავა ნარგიზა
**თავმჯდომარე**
2. ჭანტურია იური
**მოადგილე**
3. თოდუა თეა
**მდივანი**
4. კვარაცხელია მარინე
5. კუჭავა სალომე
6. ნანეიშვილი მირანდა
7. ჭანტურია სოსო
8. თოდუა არონი
9. თოდუა ლიანა
10. ვეკუა იზა
11. ჭანტურია შოთა
12. ჭანტურია კობა
13. ჭანტურია თემური

## №18 ქარიატა

1. ცხადაია რომანოზი
**თავმჯდომარე**
2. ჭიჭინაძე ნინო
**მოადგილე**
3. ჟველია ესმა
**მდივანი**
4. ბჟინავა ლეილა
5. გვასალია თამარი
6. გიგიბერია ნონა
7. ძაგანია ნანი
8. ქაქუთია სოფიკო
9. ბჟალავა გიგა
10. ბჟალავა თენგიზი
11. ქებურია გიორგი
12. ჭითანავა ნანი
13. ჩიქოვანი მარინა

## №19 ქვ.ქვალონი

1. კვარაცხელია ზვიადი
**თავმჯდომარე**
2. მეფარიშვილი ბენია
**მოადგილე**
3. ხარბედია მაია
**მდივანი**
4. ყალიჩავა ლუარა
5. ჩაჩიბაია შორენა
6. ჯიგანია ნათია
7. დარსალია იზოლდა
8. წურწუმია ნატო
9. ჭითანავა არკადი
10. კოდუა მაკა
11. შეროზია ჯემალი
12. ყურაშვილი ნატო
13. საჯაია ნინო

## №20 შუა ქვალონი

1. ჯანჯღავა დიანა
**თავმჯდომარე**
2. შურღულაია ვახტანგ
**მოადგილე**
3. ბიგვავა ზვიად
**მდივანი**
4. ლოლუა თემური
5. ლოლუა მზია
6.ჯგერენაია კლარა
7. ჯოლოგუა ვერა
8. ბიგვავა ელისო
9. ბაღათურია მალხაზ
10. ფარცვანია ლელა
11. კარტოზია ნოდარი
12. კვაშილავა ირმა
13. ფარულავა მაკა

## №21 ჯალადიდი

1.ბერულავა ირინე
**თავმჯდომარე**
2. ხვიჩია მალხაზი
**მოადგილე**
3. ნატრიაშვილი მზია
**მდივანი**
4. ბუსკაძე რუსუდანი
5. დარჯანია ლევანი
6. კირთაძე ზინა
7. სიჭინავა ნათია
8. ლაკირბაია ვახტანგი
9. ჭანტურია ნათია
10. ჩაჩიბაია-ფაჩულია ირინე
11. ბუკია თამარი
12. გოგბერაშვილი თეონა
13. სიჭინავა თეა

## №22 ყულევი

1. სიჭინავა მარინე
**თავმჯდომარე**
2. ჯახუა ლელა
**მოადგილე**
3. ბაქრაძე ბელა
**მდივანი**
4. ლატარია ნატალია
5. ნასარაია ფრიდონი
6. ჩაკაბერია მარინა
7. ჭითანავა მაკა
8. ხარჩილავა ქეთო
9. კაკულია როზა
10. კუკავა ედუარდი
11. გაბუნია ტატიანა
12. ნასარაია ნინო
13. შამათავა გოგი

## №23 შუა ხორგა

1. ტაბაღუა გულნარა
**თავმჯდომარე**
2. ნასარაია ალექსანდრა
**მოადგილე**
3. ბერაია რუსიკო
**მდივანი**
4. კაკულია გიგა
5. ჯობავა დავითი
6. ჯობავა როლიდა
7. პაჭკორია გიგა
8. ბერაია ნათია
9. გვასალია მზია
10. ბახია ცისია
11. ქალდანი ნანა
12. წულაია დავით
13. ყურუა მალხაზი

## №24 ქვ. ხიბულა

1. ზარანდია ბიძინა
**თავმჯდომარე**
2. კონჯარია ლელა
**მოადგილე**
3. ქვარაია ინდირა
**მდივანი**
4. ლაკირბაია მაია
5. შონია დალი
6. ჭაავა თენგიზ
7. ჯიშკარიანი ერიდა
8. ქვარაია მოკონა
9. მირცხულავა ვახტანგი
10. თოდუა მანუჩარ
11. თოდუა ლაშა
12. წურწუმია რამაზ
13. ქაძანაია გენადი

## №25 ხამისქური

1. ქირია მარინე
**თავმჯდომარე.**
2. ქირია ვალერი
**მოადგილე**
3. შანავა ინგა
**მდივანი**
4. ფარცვანია ჯულიეტა
5. გუმბერიძე-კუკავა თეა
6. ნიგურიანი ნათია
7. ქირია თამაზი
8. კუკავა ვარდიშა
9. კაკულია ენრიკო
10. კვარაცხელია ფევდოსია
11. პერტია ლევანი
12. ფარცვანია ელდარ
13. ესიაშვილი ქეთევანი

## №26 ხეთა

1. ჭითანავა ბადრი
**თავმჯდომარე**
2. ბუკია მამუკა
**მოადგილე**
3. ქარდავა ია
**მდივანი**
4. დავითაია მაგული
5. ქირია ნინელა
6. ჭითაშვილი მელანო
7. კაკავა ნანი
8. ლატარია მარიკა
9. გურული პატა
10. ოყუჯავა როსტომი
11. ჩეხერია კობა
12. ბაძაღუა სოფიკო
13. ქანდარია ლელა

## №27 ხეთა

1. ბუკია ნოე
**თავმჯდომარე**
2. ტურავა ზვიად
**მოადგილე**
3. ბუკია ნანა
**მდივანი**
4. ბუკია რუსუდან
5. ლომაია ნანა
6.
7. ცხვიტავა დარეჯანი
8. ჭუმბურიძე თამარი
9. ყოლბაია თეონა
10. ვეფხვაძე იზა
11. დგებუაძე ნანა
12. გაბრავა დონარა
13. ბუკია ნიკოლოზი

## №28 ქ. ხობი

1. ჩიტაია გიგლა
**თავმჯდომარე**
2. ბერაია სულხან
**მოადგილე**
3. ხარბედია დელონა
**მდივანი**
4. გუჩუა ომარ
5. კალანდაძე ლელა
6. ცხადაია ხათუნა
7. წოწორია მანანა
8. ჩიტაია გიული
9. გერგაია ზოია
10. სერგია დალი
11. ბაჩილავა მზია
12. ხარბედია ინგა
13. ცეკვაშვილი თამარ

## №29 პირველი მაისი

1. გაბისონია ნუგზარი
**თავმჯდომარე**
2. ცხადაია ნინო
**მოადგილე**
3. ალექსანდრია ლელა
**მდივანი**
4. ბუკია შორენა
5. გაბელია ლადო
6. მებონია ირინა
7. მეუნარგია თამარ
8. ქანდარია ია
9. გვასალია ქეთევანი
10. კვარაცხელია ელისო
11.ბუკია ბელა
12. სოსელია ლელა
13. ლაგვილავა რაჯი

## №30 ნოჯიხევი

1. გოგოლი მაყვალა
**თავმჯდომარე**
2. ცხომარია სალინა
**მოადგილე**
3. ბალხამიშვილი ია
**მდივანი**
4. ალანია ნინო
5. იოსავა ნუკრი
6. მგალობლიშვილი ნატო
7. სახეიშვილი როლანდი
8. სალია ინდირა
9. კვიკვინია ნანა
10. კეკუსანძე ლიდა
11. ადამია შორენა
12. სალაყაია გოგა
13. დარასელია ინდიანა

## №31 შავღელე

1. მურვანიძე ლია
**თავმჯდომარე**
2. ცეცხლაძე მავლინა
**მოადგილე**
3. ჭაღალიძე მაია
**მდივანი**
4. ბერიძე მერი
5. მამულაძე ევგენი
6. მამულაძე რამაზ
7. მანველიძე ხათუნა
8. ბოლქვაძე ნაირა
9. ქათამაძე გუგული
10. მოდებაძე გელა
11. კილაძე მიხეილი
12. ცეცხლაძე ლიანა
13. მახარაძე იამზე

## №32 ჯალადიდი

1. იოსელიანი ოთარ
**თავმჯდომარე**
2. სესკურია მანანა
**მოადგილე**
3. ჩიქობავა მერი
**მდივანი**
4. გაბისკირია ირაკლი
5. გიგაშვილი გიორგი
6. ღვამიჩავა ირინე
7.ჯიშკარიანი გულნაზი
8. გაბრავა ნიაზ
9. გელენიძე ლორეტა
10. ფაჩულია ზურაბი
11. გიგაშვილი რევაზი
12.კორტავა ავთანდილი
13. ბარქაია ნინო

**კომისიის თავმჯდომარე მინდია ლომაია**

# ახალი ტექნოლოგიების ეკონომიკური ეფექტი

1

დაითესა და... შემოდგომამ კალთა დაიბერტყა... ჩალისფერი მოედალა ფართობებს. მიუხედავად უჩვეულო წვიმიანი ამინდებისა და უმნიშვნელო ხარვეზებისა (რაც ყველა ახალ წამოწყებას თან სდევს) მოსავა-



ლიც უხვად მოვიდა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის უფროს ბატონ ანგულ მიქავას და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტ ირაკლი შონიას შემთხვევით დამგზავრებული, ახალი სოფლის თემში (რწმუნებული რინული ნოდია) სასიამოვნო ფაქტის უნებლიე თვითმხილველი



გავხდი. გზად ბატონი ანგული მოგვიყვა:

ჩვენი სამსახურის ერთ-ერთი ფუნქცია კონსულტაციების და ტრენინგების ჩატარებაა. მესიმინდეობა ჩვენი ძირძველი კულტურაა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეკომენდაციამ–დაგვეთესა ფრანგული ჯიშის სიმინდი, რომელიც სხვა სიკეთესთან ერთად გვალვა გამძლეცაა (თუმცა წელს ნალექის პრობლემა არ იყო), ჩვენი სამსახურის ყურადღება მიიქცია. ჩვენივე ინიციატივით მოვიწვიეთ სპეციალისტები, მეწარმეები, სოფლის რწმუნებულები და გავაცანით ყველა წვრილმანი ამ ჯიშის დათესვის და მოვლის ტექნოლოგიების შესახებ. სხვებთან ერთად იაქტიურა ახალსოფლის რწმუნებულმა ქალბატონმა რინული ნოდიამ და ჩვენი სურვილი, დაგვენერგა სიმინდის ეს ჯიში, მოსახლეობას გააცნო. ახალსოფლის მკვიდრმა, აგროქიმიკოსმა იურა ადანაიამ საცდელად დათესა ფრანგული ჯიშის სიმინდი „№13543 წითელი“.

ბატონი იურა ადანაია კმაყოფილებით გვიყვება: ოდითგანვე ჩემი წინაპრები სიმინდის კულტურის მოვლა-მოყვანით იყვნენ დაკავებულები, ერთხანს თბილისში ვცხოვრობდი, შემდეგ სოფელში დავბრუნდი და მეც ხელი წინაპართა საქმიანობას შევავლე. ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენი ტრადიციული ჯიშის სიმინდი არ ითესებოდეს, მაგრამ მასთან ერთად უხვმოსავლიანი ჯიშის დანერგვაც კარგია. ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასეთი მოსავალი მოვიდოდა. 0,4 ჰექტარიდან 5 ტონა სიმინდი მივიღე. მით უფრო, ამინდმა არ გაამართლა, არხები წლებია არ ამოწმენდილა და კვალის ნაპირებზე მუხლებამდე წყალი იდგა. ჰერბიციდებმაც არ გაამართლა, მაგრამ ხომ ხედავთ, რა კალო დადგა. მომავალი წლისთვის გადაწყვეტილი ბევრად მეტ ფრთობზე მაინც დავთესო ეს ჯიში. მინდა გითხრათ, მნახველები მოდიან, სურვილს გამოთქვამენ მომავალში თავადაც დათესონ ამ ჯიშის სიმინდი. მე სოიოც დავთესე და ავიღე კიდეც, ზუსტად 90-ე დღეს დავაბინავე.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვთქვა, ხელისუფლების მიმართ სამადლობელი იმ „სასოფლო-სამეურნეო ბარათების“ დარიგებისათვის, რამაც განაპირობა სურვილი იმისა, რომ უსახსრობის გამო წლობით დაუმუშავებლად მიტოვებული მიწებიც დაგვეთესა. თან ეს ბარათი ყველა ოჯახმა მიიღო. შეიქმნა წინაპირობა, ვისაც შრომა არ დაეზარა ბეღელი აავსოს–მითხრა ბატონმა იურამ.

არა მარტო იურა ადანაია, მისი ნადიც ამ აზრისაა, კმაყოფილებას ვერ ფარავს, რაც სასიამოვნოა.

უხვმოსავლიან, და მე ვიტყოდი, ულამაზეს სიმინდის ფართობს, (სიმინდის ყველა ღერო ერთი სიმაღლისაა, ყველას ტარო მარჯვენა მხარეს აქვს და მწკრივში ლამაზად ჩანს). კმაყოფილ მოსახლეობას, რომელთა უმეტესობა ახალი ჯიშის დანერგვას ფიქრობს, ჩვენც ერთი სურვილით ვტოვებთ–ხვავი და ბარაქა გაუმრავლდეს მშრომელი კაცის მარჯვენას.

***მერი ლაგვილავა.***

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## გამგებელმა კოლხეთის დასახლებაში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა

ხობის მუნიციპალიტეტში რეგიონალური განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები გრძელდება.

ქ. ხობში, კოლხეთის დასახლებაში ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს ასფალტ-ბეტონის საფარის კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოები. დაგეგმილია გზის მოასფალტება, რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის გაყვანა გზის ორივე მხარეს და ეზოებში შესასვლელი ხიდბოგირების მოწყობა, რაც ახლო მომავალში დასრულდება. მიმდინარე სამუშაოები პირადად დაათვალიერა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ.



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, კოლხეთის დასახლების ქუჩის რეაბილიტაციისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგებისთვის 191300 ლარი გამოყო.

## ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია დასუფთავდა



10 ოქტომბერს ხობის ხარების დედათა მონასტერს საქართველოს ეროვნული გვარდიის მეათე კადრირებული ბრიგადა სტუმრობდა. ჯარისკაცებმა ტაძრის მოძღვარ დეკანოზ ილიასთან და სამხედრო კაპელან დეკანოზ გიორგისთან ერთად მოილოცეს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი და მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა-დასუფთავების სურვილი გამოთქვეს. აქციაში 80 სამხედრო მოსამსახურე ღებულობდა მონაწილეობას. მათ მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი ბალახებისა და ეკალ-ბარდებისაგან გაწმინდეს და დაასუფთავეს. მათი თქმით აქცია არ ატარებს ერთჯერად ხასიათს და მსგავსი აქციების განხორციელება სხვა ეკლესია-მონასტრების ტერიტორიაზეც არის დაგეგმილი.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა მადლობას უხდის აქციის ორგანიზატორებსა და საქართველოს ეროვნული გვარდიის მეათე კადრირებულ ბრიგადას დაუღალავი შრომისათვის.

## ხორგაში ელექტროქვესადგური აშენდება




ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) წარმომადგენლები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამშრომლებს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი იყო მშენებლობის განხორციელებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჭირო სამუშაოების წარმართვის გაცნობა.

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკიდან ტექნიკური და ფინანსური დახმარება რეგიონალური ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციის პროექტისათვის. პროექტი, რომლის განმახორციელებელ რგოლს წარმოადგენს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, შედგება ორი კომპონენტისაგან. აღნიშნულიდან ერთერთს წარმოადგენს ხორგის ქვესადგურის მშენებლობა. ქვესადგურისთვის შერჩეული 13,5 ჰა მიწის ნაკვეთი საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მფლობელობაშია (საკადასტრო კოდი: 45.01.25.020). პროექტი სამი წლის ფარგლებში დასრულდება, სადაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა.

## გრიპის სეზონი აქტიურ ფაზაში შედის



ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, ევროპის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში გრიპის სეზონი იწყება 2013 წლის მე-40 კვირიდან და გრძელდება 2014 წლის მე-20 კალენდარულ კვირამდე. მათივე განცხადებით, ამ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმირებულია მუნიციპალიტეტის ყველა სამედიცინო დაწესებულება, გაცემულია სათანადო რეკომენდაციები და საჭიროების შემთხვევაში ჯანდაცვის ცენტრი მზად არის სამედიცინო ქმედებების გასატარებლად.



თორსა-დღვაბა შორეულ წარსულში გაუვალი და ეკალ-ბარდებით დაფარული მხარე იყო. შემდეგ ცერიცერიების გაკულტურებით გაშენდა მეურნეობა და ხალხიც დასახლდა. აქ ხალხი ოდითგანვე თავს ჩაით, სიმინდითა და მეცხოველეობით ირჩენდა... შემდეგ იყო აღორძინებისა თუ დაღმასვლის პერიოდები... განადგურდა სოფლის მეურნეობა. უმუშევრობამ, უშუქობამ და სხვადასხვა სამხედრო შენაერთების თარეშმა სოფელი თითქმის დააუძლურა. შემდეგ კვლავ გამონათებები, მაგრამ კვლავ უმუშევრობა. არ არსებობდა არავითარი გამოსავალი და როგორც თითქმის ყველა სოფლიდან ხალხი სამუშაოს საძებრად ხან სად და ხან სად წავიდა. თუმცა ადამიანი ყოველთვის მომავლის იმედით ცხოვრობს. დღეს ხელისუფლებაში სულ სხვა ადამიანები მოვიდნენ. მოსახლეობის უმრავლესობას იმედება კოალიცია „ქართული ოცნება“ და მისი მეთაური ბატონი ბიძინა ივანიშვილი. იგი მომავალი ცხოვრების გაუმჯობესების იმედად ევლინება.

მოვიდა ახალი მთავრობა და ყველა თემსა თუ სოფელში ხელმძღვანელები შეიცვალა. თორსა-დღვაბის თემსაც ახალი წინამძღოლი—ფლორა ბუზალაძე ჰყავს.

# „უკეთესი მერმისის რწმენა გვქონდეს“

***ქალბატონო ფლორა, თქვენი სახელი და გვარი ჩემთვის უცნობია. ალბათ, ბევრისთვისაც. გაეცანით მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს, სადაური ბრძანდებით და ვინ ხართ, საიდან მოდიხართ, ცოტა რამ თქვენს ოჯახზე?***

—დავიბადე სოფელ თორსა-დღვაბაში გერონტი შელიას ოჯახში. ბუზალაძე ჩემი მეუღლის გვარია. თორსის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვსწავლობდი ზუგდიდის საბუღალტრო ტექნიკუმში. ჩემი პირველი სამუშაო ნაბიჯები თორსის სასოფლო საბჭოდან მოდის. სხვადასხვა დროს მიმუშავნია ხობის რაი-ფინგანში, საგადასახადო ინსპექციაში ინსპექტორად, ოცდაათი წელი ერთგულად ვმუშაობდი სოფლის საგადასახადო ინსპექტორად, ამჟამად ჩემს თემში გახლავარ მუნიციპალიტეტის რწმუნებული. ჩემი მეუღლეა რომეო ბუზალაძე, დამთავრებული აქვს ქუთაისის პროფესიული სასწავლებელი, რომელიც 10 წელია საქველმოქმედო ასოციაცია „ატუს“ სამშენებლო კომპანიაში (რომელიც ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის) მუშაობს. ამ კომპანიაში მუშაობენ ჩემი ვაჟი და სიძე. სწორედ აქედან დაიწყო ჩემი ურთიერთობა „ქართულ ოცნებასთან“. ჩემი ხედვა კოალიციის მეთაურისა და მის წევრთა ხედვასთან ყოველთვის თანხვედრი იყო.

მყავს ორი შვილი დათა და ნანა ბუზალაძეები. დათამ პოლიტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა, ნანა უცხო ენის სპეციალისტია. მას თავისი ოჯახი ჰყავს. ბიჭი დასაქორწინებელია.

***კარგად იცნობთ თქვენს თემს, მის მცხოვრებლებს, როგორი ურთიერთობები გაქვთ მათთან. ფლორა, იცნობდეთ ადამიანებს ერთია, მაგრამ ამ ამპლუაში ყოფნა სულ სხვაა. ეს არის უფრო ღრმა წვდომა თითოეულის ცხოვრებაში... საქმეებს თავს კარგად ართმევთ?***

—თემსა და მის მოსახლეს ყველას ვიცნობ. უმრავლესობას ადრეც ვეკონტაქტებოდი (ჩემი ყოფილი სამსახურებიდან გამომდინარე), ამჟამად ფეხით მაქვს მოვლილი მთელი თემი, ჩემმა ახალმა სამსახურმა და ზემოთხსენებულმა გარემოებებმა განაპირობა თანასოფლელებთან ჩემი უფრო დაახლოება. მათი ყოველდღიური ცხოვრებისა თუ მათი ჭირისა და ლხინის თანაზიარი უნდა ვიყო. ეს ჩემი მოვალეობაა. ხალხთან კარგი ურთიერთობა ჩვენი დაახლოებისა და ურთიერთმხარდაჭერის გარანტია.

რწმუნებულის ამპლუაში ყოფნა ადვილი არ არის, მით უფრო ქალისთვის. დღეს ყველგან უამრავი პრობლემაა. ეს პრობლემები არც ჩვენს თემსა და მაცხოვრებლებს გვაკლია. ვცდილობ, შეძლების მაქსიმუმის გაკეთებით, ოდნავ მაინც შევძლო პრობლემათა დაძლევა. მინდა ჩემს ხალხსა და ხელისუფლებას შორის მედიატორის როლი შევასრულო და ურთიერთმხარდაჭერით პრობლემათა მოგვარება შევძლო. ვიცი, ეს ადვილი არ იქნება. ვნახოთ, რა როგორ გამოვა. მე ვეცდები, მაქსიმალურად დავიხარჯები.

***დატვირთულია თქვენი ყოველდღიურობა, ამჯერად რითი ხართ დაკავებული?***

—ჩემი ყოველდღიური სამუშაო დღე ემოციურად დატვირთული მაქვს. თემში არის ბევრი გადასაჭრელი და მოუგვარებელი პრობლემა. მიუხედავად ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა დიდი თანადგომისა, ბევრი პრობლემა კვლავაც რჩება გადაუწყვეტელი, იმედი მაქვს ერთად დგომითა და დიდი ძალისხმევით, შემდგომში ყველაფერი გამოსწორდება, დაიძლევა. ახლა მთავარია, საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მზადება, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ „ოცნების“ კანდიდატმა გაიმარჯვოს.

***ფლორა, როგორ ჩაატარეთ ხვნა-თესვა, იყო წინააღმდეგობები, თუ ყველაფერი დადებითად მოგვარდა. ხელისუფლების მიმართ ხალხის კმაყოფილებაზე რას იტყვით?***

—მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა პროგრამამ, რომელიც მოსახლეობისთვის სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებას ითვალისწინებდა, ხალხში დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ადამიანები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, ადრე ოჯახებს თუ ხვნა- თესვისათვის და სასუქების შესაძენად ვაი-ვაგლახი ჰქონდათ, უჭირდათ მიწების დამუშავება, მაგრამ წელს სასოფლო-სამეურნეო ბარათებით უფასოდ დამუშავდა ოჯახებზე განკუთვნილი ფართობები. თორსაში 407 კომლი ცხოვრობს, უმრავლესობამ (ცოტა გამონაკლისის გარდა) მიიღო ეს ბარათი. ხალხმა შეძლო მიწის მოხვნა, შხამ-ქიმიკატების შეძენა. ამ მისასალმებელმა და ხალხისთვის საკმაოდ საჭირო პროგრამამ, კარგი შედეგი გამოიღო. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ხობის მუნიციპალიტეტის დღევანდელ ხელისუფლებას დიდი თანადგომისთვის. არ შემიძლია არ აღვნიშნო მენეჯერების გია იოსავასა და ჯანსუღ ჯიშკარიანის გულისხმიერება. თავდაუზოგავი შრომით შევძელით ხვნა-თესვის კამპანიის ჩატარება. დღე და ღამ ერთად ვშრომობდით და იმედია, შედეგიც სახარბიელო იქნება.

***„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ამოქმედდა. რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს. რამდენი თანხაა გამოყოფილი. ეს ყველაფერი ხალხის სურვილებზე დაყრდნობით გადაწყდა?***

—„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ამოქმედებაში ტრადიციად იქცა მოსახლეობის ჩართულობა, მათი აზრების გათვალისწინება. თორსა-დღვაბის თემში სამი უბანია—თორსა, საბუკიო და დღვაბა.

ამ პროექტის ფარგლებში დღვაბის უბანში საყანე მიწის შემოღობვის სამუშაოები განხორციელდა, თორსის უბანში სასაფლაოს შემოიღობა, ხიდის რეაბილიტაცია და გზის მოხრეშვის სამუშაოები ჩატარდა. საბუკიოს უბანში მოსახლეობის სურვილით მინი სტადიონი კეთდება.

***ფლორა, ასე დატვირთული გრაფიკით მუშაობთ, თუ იცლით ოჯახისთვის, საკუთარი თავისთვის, მეგობრებთან ურთიერთობისთვის?***

—ქართველი ქალისთვის ოჯახი მტკიცე ზურგი, საყრდენია, მისი ციხე-სიმაგრეა, ეს ის ადგილია, სადაც ნებისმიერი პრობლემის, ცუდი დღეების მიუხედავად, მყუდრო გარემო გვხვდება. გარდა ამისა, კიდევ არის მეგობრული გარემო ფინჯან ყავასთან ერთად, წაჭორავებაც, რაც ქალური მომენტია ალბათ, მაგრამ ერთობ საჭირო, რადგან ყოველდღიური რუტინული შრომის შემდეგ განმუხტვა საუკეთესო საშუალებაა.

***ტრანსპორტი თუ გყავთ. ამხელა სოფელს, მის ხალხს, ტერიტორიას რომ „შემოურბინოთ“?..***

—თორსა-დღვაბა ტერიტორიულად ძალიან ვრცელია, მისი ფეხით შემოვლა შეუძლებელიცაა. მანქანა საკუთარი არ მყავს, მაგრამ ჩვენი უბნის ექიმი მზია ლემონჯარია, ძალიან მეხმარება, მისთვის თავისუფალ დროს საკუთარი მანქანით საჭირო საქმეებს ვაგვარებთ.

***თემს თქვენთან ერთად ვინ ხელმძღვანელობს, ერთმანეთთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?***

—ჩემთან ერთად მუშაობს მთავარი სპეციალისტი ბესიკ ბერიშვილი. ჩვენი მთავარი ამოცანა პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლაა. ერთმანეთს ვეხმარებით და ვცდილობთ, თემი ფეხდაფეხ მიყვებოდეს მთავრობისა და ხობის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებების განხორციელებას.

ჩვენი შენობით სარგებლობენ სოფლის კლუბი (სპეციალისტი ნუნუ ჭუმბურიძე) და ბიბლიოთეკა (სპეციალისტი გვანცა კიკალეიშვილი). ჩვენი ურთიერთობები გარკვეულია და ვთანამშრომლობთ.

***სოფლის დეპუტატსა და თქვენ ალბათ სხვადასხვა თვალთახედვა გაქვთ. პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, რას იტყოდით თქვენს საქმიან ურთიერთობებზე?***

—თემის დეპუტატი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მანუჩარ ბუკია გახლავთ, მიუხედავად სხვადასხვა შეხედულებებისა, ჩვენი ხედვები თემის საკეთილდღეოდ იკვეთება. ერთმანეთს ვეხმარებით საერთო საქმის გადაწყვეტაში და ვთანხმდებით რა სჯობია თემისთვის და თუ რა როგორ გავაკეთოთ. დეპუტატი ეს თემის რჩეულია და მის მიმართ პატივისცემით ვარ გამსჭვალული.

***თორსაში რა ფუნქციონირებს? რამდენი ადამიანია დასაქმებული. თემს ტრანსპორტი თუ ემსახურება, როგორაა ელექტროგამრიცხველიანების საქმე? ე.ი. რა ხდება სოფელში, რაა პერსპექტივაში?***

—სოფელში ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა. ფუნქციონირებს საჯარო სკოლა (დირექტორი მაგდა ცქიტიშვილი). სულ ოცდაორი პედაგოგია, არიან სერთიფიცირებული პედაგოგებიც. საექიმო ამბულატორია, სადაც მუშაობს ექიმი და მედდა. საბავშვო ბაღი (მთავარი სპეციალისტი—იათამზე შარია) ოთხი თანამშრომლით, ბიბლიოთეკა და კლუბი. სულ ოცდათორმეტი ადამიანია დასაქმებული ამ ობიექტებში.

თემის სამივე უბანს კვირაში სამი დღე ემსახურება მიკროავტობუსი ზუგდიდის მიმართულებით. ხოლო ყოველ სამუშაო დღეებში თემში შემოდის მიკროავტობუსი ხობის მიმართულებით მიმავალი. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი პირადი ავტომანქანით სარგებლობს.

ელექტრომომსახურება ნორმალურია, თუ არ ჩავთვლით სტიქიურ მოვლენებს, რა დროსაც პასუხიც ადექვატურია. ზომების მიღებაც დროულად ხდება, რაც შეეხება გამრიცხველიანებას, ჯერჯერობით მოუგვარებელია. იმედია, უახლოეს პერიოდში მოგვარდება. ეს ძალიან კარგი საქმე იქნება.

***როგორი ყურადღება ექცევა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანებს, სულ რამდენია აღრიცხული. გყავთ ომისა და შრომის ვეტერანები, დევნილები. აქვთ მათ რაიმე შეღავათები?***

—ეს ყველაზე სათუთად და მოწიწებით მოსაგვარებელი საკითხებია. სოფლის ხელმძღვანელებს არაფერი შეგვიძლია ჰუმანური მოპყრობის გარდა, მათზე ყურადღება ზემდგომი ინსტანციების გადასაწყვეტია.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების მონაცემთა ბაზის გადამოწმება. ამდენად, ზუსტი ტარიფების მიწოდებისაგან თავს შევიკავებ.

ჩვენს ტერიტორიაზე დიდი ხანია დევნილები კომპაქტურად არიან ჩასახლებულები. მათი რაოდენობა 272 ოჯახს შეადგენს. საყოფაცხოვრებო პირობები წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია, თუმცა პრობლემები მაინც რჩება, რომლის მოგვარებაში ხელისუფლებასთან ერთად აქტიურად ჩავერთვები.

***ფლორა, კიდევ რამე ხომ არ გაქვთ სათქმელი, რაიმე პრობლემის გადაჭრას ხომ არ ითხოვთ? გამოთქვით თქვენი გულისტკივილი, გაგიგებენ, დაგეხმარებიან.***

—თხოვნით მივმართე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ თემში ჯერ კიდევ წყლის პრობლემაა, უნდა დაჩქარდეს გამრიცხველიანება, გზის მოხრეშვა და გაზიფიკაცია.

იმედი მაქვს, თემის თხოვნებს გაითვალისწინებენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და დაგვეხმარებიან ამ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრაში.

სათქმელი და გასაკეთებელი ვთქვი, რომ ბევრია. განსაკუთრებით ჩემი დიდიხნის ოცნებაა თორსა-დღვაბას ჰქონდეს სამლოცველო, მაგრამ დღემდე ეს მხოლოდ სურვილად რჩება, რადგანაც არავინ გამოჩნდა ისეთი ქველმოქმედი, რომელიც ამას ითავებს. მთავარია პირველი ნაბიჯის გადადგმა, შემდეგ ხალხის თანადგომა და დახმარებაც იქნება. არავინ დარჩება თემში, რომელიც ფიზიკურად არ იშრომებს და თანხის გაღებას დაინანებს.

სამლოცველო უფრო გაგვაძლიერებს, რწმენას მოგვმატებს და ღვთის მადლითაც შევიმოსებით.

მოდით, ერთად ავაგოთ ღვთის სახლი, თანასოფლელებო!

***რას ისურვებდით თქვენი ხალხისთვის?***

—ვისურვებდი, გვქონდეს მოყვასის სიყვარული, ურთიერთგაგება და პატივისცემა, გამძლეობა, უკეთესი მერმისის რწმენა.

მინდა ჩემს ხალხს, სრულიად საქართველოს გაერთიანება და ერთ მუშტად შეკვრა ვუსურვო.

ბოლოს მინდა უწმინდესისა და უნეტარესის, ჩვენი პატრიარქის ილია-II სიტყვებით დაგემშვიდობოთ: „ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!“

**ესაუბრა**
**ნანი კილასონია**

# სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები




ამას წინათ ხობის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები. პროექტი ხორციელდება კულტურათა გადაკვეთის საპროექტო ასოციაციის კოპენჰაგენის (CCPA) მიერ, CCPA/OFFS-ის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელობით და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მონაწილეობით. პროექტში ხობის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა იღებდა მონაწილეობას, მათ შორის გოგონებიც. 12 სხვადასხვა თამაშში 8-12 წლამდე 200-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. ღონისძიებაში მონაწილეობა ხობის პოლიციისა და პატრულის თანამშრომლებმაც მიიღეს, რამაც ბავშვებში დიდი სიხარული გამოიწვია. პროექტში მონაწილეობა სამეგრელოს რეგიონიდან ყველაზე მოწინავე კლუბს და საფეხბურთო სკოლას უნდა მიეღო. ფეხბურთის ფედერაციამ სამეგრელოს რეგიონიდან ყველაზე წარმატებულად ხობის საფეხბურთო სკოლა გამოავლინა (დირექტორი ზურაბ ლატარია). ამრიგად, ხობის საფეხბურთო სკოლა დანიის პროექტის მონაწილე გახდა.

**ზურაბ ლატარია, საფეხბურთო სკოლის დირექტორი გახლავთ, აი, რას გვიამბობს იგი:–**„ამ პროექტის მონაწილეობისთვის საჭირო იყო 3,333 ლარი. ეს თანხა საფეხბურთო სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ იყო. საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ქარდავამ, ხობის ყოფილმა გამგებელმა კახაბერ ბენიძემ, გამგებლის მოადგილემ ბადრი ჯობავამ, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა დავით ჭოჭუამ და ბიუროს ყველა წევრმა ერთხმად მხარი დაუჭირეს დანიის პროექტს, ხოლო გარკვეული თანხა, რაც ჭირდებოდა ამ პროექტის განხორციელებას, დანიაში გადარიცხეს.

დანიის პროექტში გათვალისწინებული იყო ყველა მონაწილისთვის კეპი, მაისური, ხელის სამაჯური და დიპლომი, ასევე, მწვრთნელ-მასწავლებლებისთვის სპორტული ზედა-ქვედა, მაისური, შორტი, კეპი, სავარჯიშო ინვენტარები, ასევე სავარჯიშო დგარები და 150 ცალი ბურთი.

ამ საგაზეთო წერილით მსურს მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პროექტს მხარი დაუჭირა.“

შეგახსენებთ, რომ პროექტი ოთხი დღის განმავლობაში გაგრძელდა.

ხობში ჩატარებულმა „დანიის პროექტმა“ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. მისმა ხელმძღვანელებმა წარმატებებისათვის ხობსა და ხობელებს მადლობა გადაუხადა.

**ნანა კემულარია**

# ტრადიციადქცეული ტურნირი



ამას წინათ განათლების ცენტრის უშუალო ინიციატივით, ცენტრის კომპიუტერულ სკოლაში, ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლის **გუდუნა (რამაზი) სალაყაიას** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციადქცეული შიდა სასკოლო ტურნირი, კომპიუტერულ თამაშებში counter strike-ში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს შორის ჩატარდა (განათლების ცენტრის დირექტორი ხათუნა ხორავა, კომპიუტერული სკოლის მთავარი სპეციალისტი ნუნუ კილასონია).



ტურნირში მონაწილეობა 8 გუნდმა მიიღო. დაძაბული თამაშების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა:

**I ადგილზე** გუნდი FTR (ლუკა ლოლუა, ნიკა ქარდავა, ირაკლი გაბრიჩიძე, გიორგი დვალიშვილი) გავიდა;

**II ადგილი** გუნდმა DISABLE (რეზიკო ჭითანავა, ბექა კაკულია, სანდრო ქავთარაძე, გიორგი ვარდია) დაიკავა;

**საუკეთესო მოთამაშედ** ერთხმად გიორგი ვარდია აღიარეს და მისთვის განკუთვნილი პრიზი გადასცეს.

ტურნირის გამარჯვებულები ცენტრის დირექციამ ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით, ხოლო მეგობრებმა მთავარი პრიზით–გამარჯვებულის თასით დააჯილდოეს.

თამაში მეხუთე წელია იმართება, რომლის დამფუძნებლები გუდუნას უახლოესი მეგობრები არიან. ამ ბიჭების ცხოვრებაში სიტყვა მეგობრობას დიდი ადგილი უჭირავს... მათ ამის საოცარი უნარი შესწევთ. უყვართ ალალად, უანგაროდ და ბოლომდე მეგობრის ერთგულები რჩებიან. რამოდენიმე წლის წინ საუკეთესო მეგობარი დაკარგეს. მეგობრის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი კი თითოეული მათგანისთვის ძნელი აღმოჩნდა. თითქოს მათ ცხოვრებაში ყველაფერი შეიცვალა, თითქოს სუნთქვა შეწყვიტეს... მაგრამ გუდუნას დავიწყება წამითაც არ უფიქრიათ, პირიქით, ტრაგიკულად დაღუპული მეგობრის უკვდავსაყოფად გუდუნას უსაყვარლესი თამაშის counter strike-ის ტურნირის დაარსება გადაწყვიტეს და მან ტრადიციული სახე მიიღო.

ტურნირის ბოლოს, დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო გუდუნას ხსოვნას და მეგობრის საფლავი ყვავილებით შეამკეს.

როგორც ვხედავთ, ტრადიციადქცეული ტურნირი, უფრო დიდ მასშტაბებს იძენს...

**ნანა კემულარია**

# ცოფი–განსაკუთრებით საშიში დაავადება

ამასწინათ ცოფის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ცოფი ან ჰიდროფობია ტეტანუსთან ერთად მწვავე ქირურგიული სპეციფიკური ინფექციაა, რომელიც მიმდინარეობს ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე, აღუდგენელი დაზიანებით და როგორც წესი, სიკვდილით მთავრდება. მისი თავიდან აცილების ერთადერთი გზა ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) აცრების დროული და კვალიფიციური ჩატარებაა გამოცდილი ქირურგ-რაბიოლოგის ზედამხედველობით. რადგან ამ დაავადების თანამედროვე სპეციფიკური პროფილაქტიკის მეთოდი ძლიერ ეფექტურია, ამიტომ ავადობის შემთხვევები გვხვდება მხოლოდ იმ პირებში, რომლებსაც არ ჩაუტარებიათ ანტირაბიული აცრები, ან ჩაიტარეს არასრულყოფილად.

ცოფის ინფექციას იწვევს ნეიროტროპული ვირუსი, რომელიც აზიანებს მასპინძელი ორგანიზმის ნერვულ ცენტრებს და თავის ტვინის ქერქს.

ნებისმიერი ძუძუმწოვარი შეიძლება დაავადდეს ცოფით, თუმცაღა ბალახისმჭამელებში ცოფი იშვიათად შეიმჩნევა, ბევრი ცხოველი ვირუსის მატარებელია. ამ მხრივ ადამიანისათვის განსაკუთრებით საშიშნი არიან: ღამურები, ვირთხები, მაწანწალა ძაღლები, კატები, მელიები, სკუნსები. ცოფის ვირუსი ადამიანის ორგანიზმში შეიძლება მოხდეს დაავადებული ცხოველის ნერწყვიდან არა მხოლოდ თვალით შესამჩნევი ნაკბენით, ან ნაკაწრით, არამედ მიკროტრამვებითაც. განსაკუთრებით საშიშია ნაკბენი ჭრილობები თავის, სახისა და კისრის მიდამოში, რადგან ასეთ შემთხვევაში საინკუბაციო პერიოდი მოკლდება. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 15 დღიდან 55 დღემდე, მაგრამ ზოგ შემთხვევაში დროულად დაწყებული ვაქცინაცია აძლიერებს უჯრედულ იმუნიტეტს და თავიდან აგვაცილებს დაავადების განვითარებას. საინკუბაციო პერიოდს მოყვება უშუალოდ ავადმყოფობა, რომელიც გრძელდება 5–12 დღის განმავლობაში.

დაავადებული ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი სიმპტომია წყლის შიში, ასევე შიში ჰაერის მცირე მოძრაობის მიმართაც. სახასიათოა ასევე გაძლიერებული ნერწყვის გამოყოფა, ზოგიერთ პაციენტს გამუდმებით სდის ნერწყვი პირიდან თხელ ნაკადად.

სიმპტომური ცოფი პრაქტიკულად არ იკურნება. ავადობის პრევენცია შესაძლებელია მხოლოდ ვაქცინაციის დროულად დაწყებით.

დაკბენის ან გაკაწვრის დროს პირველადი ანტირაბიული სამედიცინო დახმარება შედგება, უპირველეს ყოვლისა, ნაკბენი ჭრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავებისაგან და რა თქმა უნდა ანტირაბიული სამკურნალო პროფილაქტიკური იმუნიზაციისაგან. დაკბენისას პირველ რიგში ჭრილობა ირეცხება უხვი საპნიანი წყლის ჭავლით, შემდეგ მასზე ედება ასეპტიური ნახვევი. განსაკუთრებული სასიცოცხლო ჩვენების გარდა, ნაკბენი ჭრილობის გაკერვა პირველი სამი დღის განმავლობაში არ შეიძლება. ნაკბენი ჭრილობების მკურნალობის დროს ცოფის თავიდან აცილებასთან ერთად, აუცილებელია ტეტანუსის პროფილაქტიკა. ანტირაბიული ვაქცინის შიგთავსს ხსნიან 1,0 მლ. საინეციო წყალში. გახსნილი ვაქცინა შეყავთ ნელი ნაკადით მხრის სარტყელში დელტისებური კუნთის შუა მესამედში. 5 წლამდე ასაკის ბავშვებში საინექციო ადგილია ბარძაყის კუნთის წინა გვერდითი ზედა ნაწილი. აკრძალულია ვაქცინის შეყვანა დუნდულო კუნთში. ვაქცინირებული 30 წუთის განმავლობაში უნდა იმყოფებოდეს სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ. საპროცედურო კი აღჭურვილი უნდა იყოს ანტიშოკური თერაპიის საშუალებებით.

ცხოველებში ცოფი მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, ბუნებრივ პირობებში ავადდება როგორც შინაური, ისე გარეული ცხოველი. სასოფლო-სამეურნეო ცხოველები ავადდებიან გარეული ცხოველების დაკბენით.

ცხოველებში განარჩევენ ცოფის 5 კლინიკურ ფორმას: აშორტულს, შებრუნებითს, ატიპიურს, აგზნებითს, წყნარს. მაგალითად ძაღლებში ცოფის მიმდინარეობა ატიპიურია, კატებში აღგზნებითი, წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსან საქონელში აგზნებითი და წყნარი, ღორებში მკვეთრად აგზნებითი. ძაღლის ცოფით დაავადების ერთ-ერთი სიპტომი პირიდან დორბლის დენაა.

პროფილაქტიკის მიზნით დაავადებულ ცხოველებს სპობენ, ხოლო ცოფიანი ცხოველებისაგან დაკბენილებს აძლევენ ვაქცინას. სისტემატურად უნდა ჩატარდეს მოხეტიალე ძაღლებისა და კატების მოსპობა, ხოლო სამომსახურეო ძაღლებს და სხვა შინაურ ცხოველებს უტარდებათ პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკა. შემოღებულ უნდა იქნას კარანტინული პერიოდი ცხოველთა საერთაშორისო ტრანსპორტირებაში, ცოფით სარისკო რეგიონებიდან დაავადების გაუვრცელებლობისათვის.

მსოფლიოში ყოველ 15 წუთში ცოფისაგან 1 ადამიანი იღუპება. აფრიკაში, აზიაში და სამხრეთ ამერიკაში სიკვდილიანობის 99% მოდის ცოფზე, სადაც ყოველწლიურად ცოფისაგან დაახლოებით 30 000 ადამიანი კვდება.

მიმდინარე წლის 9 თვის მონაცემებით, ხობის მუნიციპალიტეტის მასშტაბით შინაური თუ გარეული ცხოველების მიერ ადამიანების დაკბენის 187 შემთხვევაა რეგისტრირებული, თითოეულ თვითმმართველ შემოსულ პაციენტს ხობის რაიონულ საავადმყოფოში ჩაუტარდა სამედიცინო ანტირაბული ვაქცინით მკურნალობა.

წერილს დასასრულს მინდა მივმართო მუნიციპალიტეტის მოსახლეობას თხოვნით:

ცოფით დაავადებული ადამიანის მკურნალობის სპეციფიკური მეთოდი არ არსებობს და ამ დაავადების თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება დროულად დაწყებული და სრულფასოვნად ჩატარებული ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებებია:

ცხოველისაგან დაკბენა–დადორბვლის შემდეგ საჭიროა ჭრილობების დაუყოვნებლივ დამუშავება, დაბანა საპნითა და გამდინარე წყლით.

დაკბენის, გაკაწვრის ან დადორბვლისთანავე ადამიანმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ხობის რაიონული საავადმყოფოს ანტირაბიულ კაბინეტს ცოფის საწინააღმდეგო აცრების ჩასატარებლად.

დროულად და ხარისხიანად ჩატარებული ანტირაბიული პროფილაქტიკური მკურნალობის მეშვეობით შესაძლებელია ამ მომაკვდინებელი დაავადების თავიდან აცილება.

***ჯუმბერ ტურავა,***

***ხობის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.***

# ა უ ქ ც ი ო ნ ი

## დანართი №1

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს №1 და №2 დანართების შესაბამისად**

| № | ქონების დასახელება | სარეგის-ტრაციო ნომერი | გამოშ-ვების წელი | ფერი | ტიპი | აუდიტო-რული შეფასება | „ბე" 10% | „ბიჯი" 10% | ბილე-თის ფასი | შემოსულ-ობების სახაზინო კოდი ბანკში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ა/მანქანა „ფორდ მონდეო1.8" | NAA 876 | 1994 | ლურჯი | ჰეტჩბეკი | 1360 | 136 | 136 | 20 | 300403332 |
| 2 | ა/მანქანა „მერსედეს ბენც" | SZS002 | 2001 | ყავისფ-ერი 2/8 | მაღალი გამავლ-ობის | 4800 | 480 | 480 | 20 | 300403332 |
| 3 | ა/მანქანა „ოპელ ომეგა" | BBT 268 | 1995 | მწვანე 8/8 | სედანი | 500 | 50 | 50 | 20 | 300403332 |
| 4 | ა/მანქანა „მონტერო-სპ-ორტი" | AOO009 | 1999 | შავი | მაღალი გამავლ-ობის | 4224 | 422 | 422 | 20 | 300403332 |
| 5 | ა/მანქანა „ფორდიქსფრ-ოროულერი" | SDS507 | 1998 | შავი | მაღალი გამავლ-ობის | 4243 | 424 | 424 | 20 | 300403332 |

## დანართი №2

| № | დასახელება | მდებარეო-ბა | რაოდენო-ბა | ერთეუ-ლის გასაყიდ-ი ფასი | „ბე" 10% | ბი-ჯი 10% | მონაწ-ილის ბილე-თის ფასი | შემოსუ-ლობების სახაზინ-ო კოდი ბანკში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წისქვილი | ქარიატა | 1 | 110 | 11 | 11 | 20 | 300403344 |
| 2 | წისქვილი | ქ.ხობი ბარათაშვი-ლის ქუჩა | 1 | 46 | 4.60 | 4.60 | 20 | 300403344 |
| 3 | წყლის მრიცხველი | ახ.სოფელი | 4 | 37 | 3.70 | 3.70 | 20 | 300403344 |
| 4 | წყლის მრიცხველი | საგვიჩიო | 3 | 9.0 | 0.90 | 0.90 | 20 | 300403344 |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2013 წლის 20 ოქტომბერი, 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–20122900, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–220101222.

აუქციონის ფორმით, ქონების პრივატიზებისას, გამყიდველის და მყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში, გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე"-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში, განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

# სიმინდის სილოსის დამზადება ოჯახურ პირობებში

ოჯახურ პირობებში ზამთრის განმავლობაში მეწველი ცხოველების ყუათიანი საკვებით გამოკვების საკითხი, როცა ოჯახს თუნდაც ერთი მეწველი ძროხა ჰყავს, მუდმივ პრობლემას წარმოადგენს, რადგან მოსახლეობისათვის ზამთარში საქონლის საკვებად ხელმისაწვდომია მხოლოდ თივა, სიმინდისა და ხორბლის ღეროები, როგორც მინიმუმი მეტად მნიშვნელოვანია მწვანე საკვების (სილოსი) დამატება. სილოსი - არის ფურაჟი, რომელიც მოყვანილია ჯერ კიდევ მწვანე სახით და შესაძლოა შენახული იქნას ბუნებრივი კონსერვაციის პირობებში, მწვანე მასის დასილოსების შემთხვევაში იკარგება გაცილებით მცირე საკვები საყუათო ნივთიერებები სხვა სახის საკვების დამზადებასთან შედარებით, სწორად დამზადებული სილოსი წარმოადგენს მაღალი კვებითი ღირებულების საკვებს, რომლის შენახვაც შესაძლებელია რამდენიმე წლის განმავლობაში. სილოსი საკვებად გამოიყენება ყველა სახის და ასაკის სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის, სილოსით კვების შემთხვევაში ცხოველები მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ პროდუქტიულობას, ზრდა-განვითარებას და უკეთესად უმკლავდებიან სხვადასხვა სახის დაავადებებს. დასილოსება ეს არის წვნიანი საკვების შენახვის საუკეთესო საშუალება. დასილოსების შედეგად მწვანე მასა, რომელიც მოთავსებულია პოლიეთილენის პარკებში იწყებს დუღილს, შედეგად საკვები იღებს ოდნავ მომჟავო გემოს, მომწვანო-მოყვითალო შეფერილობას და განსაკუთრებით სასიამოვნო სუნს, საკვების უხეში ნაწილი რბილდება და მთელი საკვები არის წვნიანი. ხარისხიანი სილოსი მიიღება მაშინ, როდესაც მწვანე მასის ტენიანობა 60-70%-ის ფარგლებშია. რეკომენდირებულია სასილოსე მასა ავიღოთ ტაროს რძისებრი, რძისებრ-ცვილისებრ ან ცვილისებრ სიმწიფეში. მოჭრილი სიმინდის ტენიანობის სავარაუდო დონე შესაძლებელია დადგინდეს „ხელის გასრესის" ტესტის გზით. დაკეპილ მასას ხელი უნდა მოვუჭიროთ 20-30 წამის განმავლობაში, შემდეგ სწრაფად გავშალოთ ხელი.

სიმინდის ღერო იჭრება ნიადაგიდან 10-12 სმ-ის სიმაღლეზე და იკეპება 2-3 სმ სიგრძის მომცრო ნაჭრებად, რომელიც იყრება პოლიეთილენის ტომრებში. მასალა იპრესება ჰაერის სრული გამოდევნის მიზნით, რაც ლპობის თავიდან აცილებას უწყობს ხელს. დაკეპვა შესაძლოა ხელითაც შესრულდეს, მაგრამ ამ გზით დიდი დრო იხარჯება, ამიტომ უმჯობესია ფურაჟის საკეპი იქნას გამოყენებული, ასევე მნიშვნელოვანია, რომ საკვების დაკეპვასა და დასილოსებას ერთ დღეზე მეტი დრო არ დასჭირდეს, სხვაგვარად ის დაობდება, ან ზედმეტად გამოშრება, ასევე მნიშვნელოვანია მოჭრილი საკვების დაკეპვა და კომპაქტური დასილოსება იმ მოცულობით (რეკომენდირებულია დატკეპნილი მასა შეადგენდეს 50-55 კგ-ს), რაც შეძლებისდაგვარად მეტ ჰაერს გამოდევნის პარკების დაბეჭდვამდე, სასილოსე პარკების უმთავრესი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი შესაძლებლობას იძლევიან ხელმისაწვდომი ფურაჟის მცირე ოდენობების შენახვას დიდი ხნის მანძილზე. გამოსაყენებელი პარკები უნდა იყოს მაღალი სიმკვრივის ცელოფანი, რომელიც დახევის პოტენციალს ამცირებს და მას არ უნდა გააჩნდეს ხვრელები. სილოსის პარკების შესანახად საჭიროა კარგად შემოღობილი მშრალი, მღრღნელებისაგან დაცული ადგილის შერჩევა, რადგან ტომრების დაზიანების შემთხვევაში დასილოსებულ მასაში ჰაერი შეაღწევს, რასაც სილოსის გაფუჭება მოჰყვება.

სილოსი შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა მიეცეს საქონელს. ჭამის შემდეგ ადგილი სწრაფად უნდა გასუფთავდეს მორჩენილი სილოსისაგან, რადგან იგი გაფუჭებას იწყებს და შემდეგ გამოკვებისას დააბინძურებს ახლად მიცემულ საკვებს. სილოსის ხვედრითი წილი ძროხის ზამთრის დღიურ ულუფაში შეიძლება იყოს საერთო ყუათიანობის 30-დან 50 %-ის ფარგლებში; ამასთან, ერთ სულს დღეში შეიძლება 400კგ და მეტი ცოცხალი მასას მიეცეს: ფურს 30-40 კგ-მდე, 6 თვიდან 1 წლამდე მოზარდს –4-5 კგ; 1 წელზე უხნეს მოზარდს–6-7 კგ; მეძუძურ ხბოს–1.5 თვის ასაკიდან.

| ფურაჟის გუნდას მდგომარეობა | სავარაუდო ტენიანობის შემადგენლობა |
|---|---|
| გუნდა ინარჩუნებს ფორმას და მასში თავისუფალი წვენის შესამჩნევი რაოდენობაა | 75%-ზე–მაღალია |
| გუნდა ინარჩუნებს ფორმას, მაგრამ მეტად მცირე ოდენობის თავისუფალ წვენს შეიცავს | 70-75%–მდე |
| გუნდა იშლება ნელა და მასში არ არის თავისუფალი წვენი | 60-70%–მდე |
| გუნდა სწრაფად იშლება | 60%-ზე დაბალი |

**საშემოდგომო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ აბაშის მარცვლეულის შესანახ ცენტრსა და შპს „მექანიზატორში" მოსავლის აღების, გაწმენდა-გაშრობის, შენახვის მომსახურების ღირებულების შესახებ ინფორმაციას.**

**1 კგ სიმინდის გაწმენდა-გაშრობა, შენახვის მომსახურების ღირებულებები**

**(აბაშის მარცვლეულის შესანახი ცენტრი)**

**მომსახურების მაქსიმალური ვადა შეადგენს 6 თვეს**

| № | ტენიანობა % | გაწმენდა-გაშრობის ღირებულება (ლარებში) | შენახვის ღირებულება თვეში (ლარებში) |
|---|---|---|---|
| 1 | 15%-მდე | 0.05 (ხუთი თეთრი) | 0.06 |
| 2 | 15%-ზევით | 0.06 (ექვსი თეთრი) | 0.06 |

## მოსავლის აღების მომსახურების ღირებულებები (შპს „მექანიზატორი")

| სამეგრელო | | ფართობი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აგროტექნიკური ოპერაციების დასახელება | ერთეული | <20 | 20-50 | 50-100 | 100-500 | 500-1000 | >1000 |
| სასილოსე მასის აღება | ჰექტარი | 170 | 167 | 165 | 162 | 160 | 157 |
| სასილოსე მასის აღება კომბაინით (სიმინდი) | ჰექტარი | 250 | 246 | 243 | 239 | 235 | 231 |
| სასილოსე მასის აღება კომბაინით (კულტურული ბალახი) | ჰექტარი | 270 | 266 | 262 | 258 | 254 | 250 |
| მარცვლეულის მოსავლის აღება„"ჩოფერით" (დაქუცმაცება) | ჰექტარი | 150 | 148 | 146 | 143 | 141 | 139 |
| სიმინდის მოსავლის აღება (ტარო) | ჰექტარი | 200 | 197 | 194 | 191 | 188 | 185 |
| სიმინდის მოსავლის აღება (მარცვალი) | ჰექტარი | 250 | 247 | 243 | 239 | 236 | 232 |
| სიმინდის მოსავლის აღება (მარცვალი) "ჩოფერით" (დაქუცმაცება) | ჰექტარი | 260 | 257 | 254 | 251 | 248 | 245 |
| ტვირთვის გადაზიდვა მისაბმელით (ტვირთამწეობით 10 ტონა) (1 კმ) | კმ | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 |
| ლაფეტით მომსახურება ნაკვეთში 1 საათი | საათი | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 |

**ხობის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური.**

სულთათანა

## მიტუშა გერგაია



კიდევ ერთი სახელოვანი სიცოცხლე გაეცალა ცოდვა-მადლით დამძიმებულ წუთისოფელს. მიტუშა გერგაია გარდაიცვალა, უკვე წლებით მხრებდამძიმებული, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე სამშობლოს, მშობლიური ხობის სიყვარულით გულანთებული და, რაც მთავარია, ყველა თაობისათვის ნაცნობი და ახლობელი, ახსოვთ ხობელებს გამორჩეულად პეწიანი, განათლებული, კარგი მოუბარი სხვისი ჭირისა და ლხინის მოზიარე, რაიონის მემატიანე, წიგნიერი კაცი...

თამამად შეიძლება ითქვას, ის მუნიციპალიტეტის კუთხე-კუნჭულს იცნობდა, ამის საბაბიც ჰქონდა და საშუალებაც. ის წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირველი პირის პირადი მძღოლი იყო. მას ჰქონდა ბედნიერება ემუშავა ბატონ ალიოშა წურწუმიას, ამირან როგავას, ნუგზარ ნადარაიას, ზურაბ ერქვანიას მოღვაწეობის პერიოდში და თავისი წილი დაედო რაიონის აღმშენებლობაში, კულტურულ-სპორტული კომპლექსის ცენტრებსა და მუზეუმების მშენებლობაში. განსაკუთრებით იაქტიურა შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ამირან ლატარიას სახლ-მუზეუმის შექმნაში, (ამის საბაბს თავისი ოჯახის მაგალითიც აძლევდა.) შვილის ვალდებულებით გააცილა უკანასკნელ გზაზე შინმოუსვლელის დედა ქალბატონი ლიზა ლატარია.

ბატონი მიტუშა მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა, ომის უბედურებამ ფეხდაფეხ გადაუარა მის ოჯახს. სამი ძმა ფრონტზე იბრძოდა, სამკუთხა ბარათების იმედით დარჩენილ მშობლებს ორი შვილი დაუბრუნდათ, ილიკო გერგაიამ ომის დამთავრებამდე ოცი დღით ადრე ავსტრიაში, ვენის ძმათა სასაფლაოზე დაიდო ბინა და მიტუშას თანმდევი ტკივილი გახდა. საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია, მისი შეგნებული ცხოვრება ძმის საფლავის ძიებაში გაატარა, მანამ ვერ „მოისვენა“ ვიდრე საფლავს არ მიაგნო, წლების შემდეგ კი ქართული მიწა მოაყარა... შემდეგ იყო ეულად ცხოვრების წლები... ილიკოს ხსოვნის უკვდავყოფა. მისი გარდაცვალების შემდეგ ახლობლებმა ილიკოს სურათის გვერდით მისი სამკუთხა ბარათი შენიშნეს „შენ ჩემზე ნუ დარდობ, დედი, პირიქით, უნდა იამაყო, შენი სამი შვილი ფრონტზე იბრძვის, სამშობლოს ღირსებას იცავს. სამივენი მკერდდამშვენებული დაგიბრუნდებით“ წერდა ილიკო. ასეთი სულისკვეთებით იყვნენ აღზრდილები, ამის ერთგული დარჩა ბოლომდე. მიტუშა გერგაიას უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. თითქოს მიწაზე ფეხის დადგმისაც მომერიდაო, ხელგაუწვდომელი ტოტებგაშლილი ნაძვები, ყვავილთა და პალმების ნაირსახეობა არაჩვეულებრივ გარემოს ქმნიდა, ორმაგად დასანანი იყო მიტუშას წასვლა ამ გარემოდან, მან ხომ ყველაფერი თავისი ძმის, მისი მშობლების ხსოვნას შესწირა. ამქვეყნიური დიდება არასდროს აკლდა, მთავრობის ჯილდოები, მედლები, ორდენები და გამორჩეული წოდება „ხობის საპატიო მოქალაქე“ მისი სიამაყის მიზეზი გახლდათ

მეგობრები, მეზობლები, ახლობლები სიყვარულით გამოეთხოვნენ, მიტინგიც მოუწყვეს. წარმოვიდგინე ის სიტყვები რომ მოესმინა, როგორი ამაყი და მადლობელი წავიდოდა, თუმც მისი ახლობლებისათვის მიტუშას ცხოვრების ყველა დღე საამაყო იყო... ალბათ, ამიტომაც გაუხანგრძლივეს და გაულამაზეს სიბერე, ამიტომაც გააცილეს დიდი სიყვარულით. ნათელი დაადგეს მის საფლავს...

**მერი ლაგვილავა**

## ზაზა კობახიძე



ჩემო საყვარელო შვილო, ზაზა, ორი წელი სრულდება იმ დღიდან, რაც შენ აღარ ხარ ამ ქვეყნად, მაშინ ჩემთვის მზე ჩაესვენა და ვერასოდეს გამოანათებს იმ საშინელი ტკივილისა და ენით გამოუთქმელი ტრავმის გამო, რაც შენმა გარდაცვალებამ მარგუნა. მიკვირს უშენოდ ცოცხალი რომ ვარ, მაგრამ ყველაფერი ღვთის ნება ყოფილა, თუმცა არ გეგონოს, რომ მართლა ცოცხალი ვარ; ჩემი სიცოცხლე, ჩემი სული და გული შენთან ერთად დაიმარხა... ყოველ დღე სასაფლაოზე მიმავალი გზაში ვჩქარობ, მგონია მელოდები და ვაგვიანებ, იქ კი, ბევრს გესაუბრები, მაგრამ პასუხი არსაიდან ისმის, სახლში დაბრუნება არ მინდა, მაგრამ მაინც ვბრუნდები მორალურად და ფიზიკურად განადგურებული, სახლში მხოლოდ შენი სურათები მხვდება, რომელიც კიდევ უფრო მეტად მთრგუნავს, ამიტომ მინდა იცოდე შვილო, რომ ჩემი უაზრო სიცოცხლე ტანჯვის გახანგრძლივებაა მხოლოდ, მეტი არაფერი.

პირველი ტრაგედია მამაშენის ზაური კობახიძის გარდაცვალება იყო, მაგრამ მაშინ გვერდით მყავდი არაჩვეულებრივი ვაჟიშვილი, ნამდვილი ღირსეული ვაჟკაცი, უანგარო, უკეთილშობილესი, საოცრად თბილი, ადამიანათა ზედმეტად მოყვარული, ულამაზესი როგორც გარეგნულად ისე შინაგანად, დიდთან–დიდი, პატარასთან–პატარა, გვერდში ედექი იმათ, ვისაც ყველაზე მეტად უჭირდა.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ დედისთვის ყველა შვილი ლამაზი და კარგიაო, მაგრამ ვისაც თუნდაც ხანმოკლე ურთიერთობა ჰქონია შენთან, დამემოწმება, რომ რეალურად მართლაც გამორჩეული პიროვნება იყავი, მე ვამაყობ, რომ ზაზა კობახიძის დედა ვარ. შენ სიცოცხლისთვის მხოლოდ 41 წელიწადი იკმარე და ამ პერიოდში, სადაც კი ვყოფილვარ და ვინც კი შემხვედრია, პირველ რიგში დიდი სიყვარულით გკითხულობდნენ და ისეთი საქებარი სიტყვებით გამკობდნენ, სიხარულით ცას ვეწეოდი. ახლა კი არც კი ვიცი ვინ ვარ, ნაცნობ-მეგობრების შეხვედრა მზარავს, რადგან მათი თვალებიდან ვკითხულობ ფრაზას: „საცოდავო ზაირა, ზაზას მერე ცოცხალი როგორ ხარო“.

ამიტომ მრცხვენია ჩემო სიცოცხლევ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია დედაშენი, არც კი ვიცი, როგორ ვსუნთქავ, გული როგორ ფეთქავს, თავი რობოტი მგონია.

დღემდე, რომ ცოცხალი ვარ ეს განაპირობა ეკლესიაში სიარულმა, სადაც შენი სულის სადიდებლად ვლოცულობ და იმ დიდმა ნუგეშმა და რწმენამ, რომელსაც მაძლევს მოძღვარი–მამა კირიონი. უღრმესი მადლობა მას, მადლობა მამა ილიას იმ ყურადღებისთვის, რომელიც გამოიჩინა ჩემს მიმართ შენი გარდაცვალების გამო.

შენი ერთადერთი და მანანა, ჩემზე უარეს მდგომარეობაშია. ხშირად მიწევს მისი დამშვიდება.

შვილიშვილები ლიკა და ეკა ყველანაირად ცდილობენ, რომ ტკივილი და სევდა გამინელონ, მაგრამ გულში ვერავინ და ვერაფერი შეავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც შენ დამიტოვე, შვილო.

დიდი მადლობა ყველას, ვისაც ჩემი ტკივილი გულთან მიაქვს, მეზობლებს, რომლებიც ყურადღებას არ მაკლებენ, ნათესავებს, შენს მეგობრებს, ყველას ვინც არ გვივიწყებს და შენს საფლავს პატივს მიაგებს.

ჩემი გზა არის ეკლესია და სასაფლაო. მე მგონი ეს გზა მიმიყვანს შენამდე, იმედია, უფალი მალე გამომიტანს განაჩენს და იქ, იმ ქვეყნად შემახვედრებს შენთან, ამით კი ბოლო მოეღება ჩემს საზარელ მარტოობასა და საშინელ ტანჯვას. შვილო, ზაზუ, ძალიან, ძალიან, ძალიან მენატრები.

***ზაირა კვინჩია.***

## მათე თირქია



შვილო, მათე, შვილმკვდარი დედმამისთვის არ არსებობს ცუდი და კარგი შვილი. მშობლებს ორივე ერთნაირად ტკივა, რადგან ერთიც და მეორეც მათი სულის ნაწილია, მისი სისხლი და ხორცია. ერთი კია, როცა მშობლები დასტირის სიცოცხლეში ურჩ და უხეშ შვილს, უადვილდება, ტკივილს გაუძლოს, მაგრამ შენისთანა შვილის დამკარგავმა დედმამამ ამ ქვეყანაზე რანაირი ნუგეში უნდა ეძებოს. შენ იყავი სიყრმის შვილი, მშობლების სულიერი მეგობარი. სალ-სალამათი, ჭკვიანი და ლამაზი ბიჭი, გაზაფხულის დავანების ჟამს, როცა მთელი საქრისტიანო ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულს დღესასწაულობდა, ჩვენი ოჯახის უბედურება დაიწყო 26 აპრილიდან და სულ ორთვენახევარში დამთავრდა ჩვენი ოჯახის ბედნიერება. ცა და დედამიწა შეიძრა ჩვენო ერთადერთო ვაჟკაცო, შენი არ ყოფნით ჩვენთვის დრო გაჩერდა, უშენობის ტკივილი უსაშველოა და დაუძლეველი. ვერ ვეგუებით იმას, რომ ჩვენი ერთადერთი ვაჟკაცი არ არის ამ ქვეყნად. შენ ხომ ჩვენი იმედი იყავი. არასოდეს მოშუშდება ტკივილი, რომელსაც უშენობა ქვია. მათუ, შვილო, ძნელია ჩვენთვის შენი დაბადების დღის მოლოცვა, რადგან შენ არ ხარ ჩვენს გვერდით, შენ ხომ 12 ოქტომბერს 12 წლის გახდებოდი, ოქროს დაბადების დღე გაქვს. შენი საფლავი ჩვენი სალოცავია, სანამ გავუძლებთ ამ ტკივილს. ყვავილებს, ანთებული სანთლებს და საკმეველს არ მოგაკლებთ. მე და მამაშენი შენზე ლოცვაში გავლევთ წუთისოფელს...

ჩვენო ვაჟკაცო, ძალიან გთხოვთ, შენი ერთადერთი დაიკო თიკო დაიფარე იქედან, რომელიც გულჩათხრობილი და ცრემლიანი თვალებით დადის და გვეუბნება მათუ მენატრება, მარტო რატომ, დამტოვაო, ის ხომ პატარაა მას ხომ ძმა სჭირდებოდა...

ტკივილით ვიტანჯებით შვილო შენი მშობლები და თუ რამე აძლევს სტიმულს ჩვენს სიცოცხლეს, ეს არის ზრუნვა შენი სულისთვის, გვინდა ვირწმუნოთ, რომ იმ ქვეყნიერ სამოთხეში აგრძელებ სიცოცხლეს მამიდა მაკასთან და რეზო ბაბუსთან ერთად.

ცრემლი გულის ტკივილს არ ანელებს მათე! დედ-მამის გაბზარული გული არასდროს გამთელდება... ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენთვის ჩვენო მათუთი!

***დედა თეონა კობახიძე, მამა ხვიჩა თირქია.***

მათე, ბიჭო, ზეცის განრისხებას უფრო გავდა შენი სიკვდილი. გაუსაძლისი ტკივილი და მხოლოდ ერთად ყოფნის ტკბილი მოგონებები დაგვრჩა. მოუშუშებელი ტკივილი ხარ ჩვენო საყვარელო მათუ, შენ ხომ მარტო 11 წელი და 10 თვე იყავი ჩვენთან დაიბადე გველის წელიწადში და სიცოცხლეც გველის წელში დაამთავრე 2013 წლის 12 ივლისს. ძალიან გვიჭირს 12 ოქტომბრის მოლოცვა შენთვის, ეს დღე განსაკუთრებით გიყვარდა, ოქროს დაბადების დღე გაქვს მათუ, რომელსაც უშენოდ ვხვდებით ცრემლით, მონატრებით და მოგონებით.

ჩვენ კი სულის საოხად ისღა დაგვრჩენია, რომ ვილოცოთ შენთვის, ვეფეროთ შენს გულზე დაყრილ ცივ მიწას და ამით შეგიმსუბუქოთ მისი სიმძიმე. იქ შენს ნაადრევად შეწყვეტილ სიცოცხლეს ნათელი არ მოკლებოდეს,

„იმის შეგრძნება რომ არ ხარ,
გულს სერავს ვითა მახვილი,
სიზმარში მაინც მასმინე
შენი ხმა, შენი ძახილი!“

შენი თბილი ღიმილი გვენატრება, მაგრამ შენს საფლავთან მოსულებს სასაფლაოს მდუმარება მოგვეგებება, შენი საფლავი ჩვენი წმინდა სალოცავია. ჩვენ აქ სანთელ-საკმეველს არ მოგაკლებთ. იქ კი ღვთის ნათელი გაგინათებს წმინდა სასუფეველს.

***მამიდაშვილები***
***თამთა და ლუკა ნაჭყებიები.***

## ლიდერ ალანია



გავიდა ტკივილიანი და ცრემლიანი 2 წელი, უკვე მეორედ, უშენოდ დადგა შენი დაბადების დღე 29 სექტემბერი. გვენატრები, გვიყვარხარ, გვტკივა უშენობა. ჩემს გულში ვერაფერი შეავსებს შენგან დატოვებულ სიცარიელეს. ყველაგან ყურში ჩამესმის შენი ლაპარაკი, ყოველ ნაბიჯზე შენ გხედავ. გაუნელებელი ტკივილი დამიტოვე, როგორ მაკლიხარ, ჩემო ძვირფასო ადამიანო!

სიცოცხლე კი გრძელდება, ლიდერ! შვილები და შვილიშვილები კარგად არიან.

29 სექტემბერს ყოველთვის მოუთმენლად, ორმაგი სიხარულით ელოდი, რადგან ჩვენი პირველი შვილიშვილი ელენე შენს დაბადების დღეს დაიბადა. ახლა ელენე 10 წლისაა, გუკა 7-ის, ლიზი 5-ის. 7 სექტემბერს მეოთხე შვილიშვილი თამარი გვიბოძა უფალმა. როგორ გაიხარებდი, ლიდერ! მაგრამ ვაი, რომ ჩვენს გვერდით არ ხარ. ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისათვის. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

დაე, შენთვის დანთებული სანთლები, შენი დატოვებული დიდი სიკეთე და სიყვარული გინათებდეს მარადიული სასუფევლის გზას.

***მეუღლე, შვილები, შვილიშვილები.***

## მარინე კაკულია



შემოდგომა შენთან ერთად მიყვარდა, ჩემო მარი, როცა გამოგივლიდი, გზისპირა დაფენილი ჭადრის ფოთლები ფეხების დადგმისას შრაშუნობდნენ, ერთსა და იმავეს ამბობდი სიყვარულზე, იმით ცოცხლობდი, იმით სულდგმულობდი, მაგრამ ამაოდ. სრულიად გატანჯული წახვედი ამ ქვეყნიდან ჩემო საყვარელო მეგობარო. უკვე მესამე შემოდგომაა უშენოდ... ძალიან გვენატრები... გვაკლიხარ ჩემო ცისფერო ფერიავ...

/ცხოვრობდი სიყვარულით უიმედოდ,/ /თვალები მონატრებამ დაბინდა,/ /ფიქრობდი, ფიქრობდი უსაფუძვლოდ,/ /სიცოცხლე რა სასტიკად მოგექცა./ /ღრმა იყავ მშვენიერო ოცნებებით./ /ცხოვრება ხელებს შუა გაქარა,/ /დრომ დაგთმო დამღლელი მოთმინებით/ /დრო შენმა მოგონებამ დანისლა/ /სხვა იყო შენი სიხარული,/ /შენ მისმა სიყვარულმა გაგთელა,/ /ქალი სიწმინდის და მონატრების,/ /დედობა ვაი, ვერ გეღირსა,/ /უკვე შემოდგომა დგება და/ /დღეები სევდისაგან მძიმდება./ /წუხან უშენობას ტირიფები,/ /მათაც სიყვარული სჭირდება,/ /ილევა მზის სხივები მინდვრებში და,/ /ცრემლები არა და არ მიშრება,/ /ტკივილში შინაგანად ვიძირები,/ /მკურნალად შენი სული მჭირდება,/ /იცვლება ყველაფერი ამ მიწაზე,/ /შენი ხატება კი ბრწყინდება,/ /დრო მიდის წუთისოფლად უმოწყალოდ/ /გული კი ცარიელი მრჩება./ /ჩიტები ჭიკჭიკობენ ბუდეებში,/ /სანთლები შენს საფლავთან ინთება,/ /წახვედი ამ ქვეყნიდან ტკივილებით,/ /იმ ქვეყნად ნათელი გზით გეცვლება./

***ლალი ჭედია***

## ლევან ბერაია



მწუხრის ზარმა მწარედ ჩამოკრა ჩვენს ოჯახში და თავბრუ დაგვახვია. გაუსაძლის მწუხარებაში გასულა 40 დღე, ჩემო დაუვიწყარო, ჩემი ცხოვრების იდეალო მამიკო.

დედით ობლადდარჩენილ ძმისშვილებს თავს ევლებოდი, შენი შესაძლებლობის მაქსიმუმს უკეთებდი. ამით ალბათ, მაგალითს უჩვენებდი, როგორ უნდა მომქცეოდნენ ობლად დარჩენილ შენს შვილს.

ჩემო პატარა, უმანკო გულით მჯერა, რომ ბედისწერის მსხვერპლი გახდი, თორემ ღმერთი არ წამართმევდა ჩემს უსაყვარლეს, ლამაზ, ოჯახზე გადაყოლილ მამიკოს. შავ ძაძებს არ ჩააცვამდა ერთ შვილზე უკვე გამწარებულ ჩემს საყვარელ ბებიასა და ბაბუას. არ დააქვრივებდა ჩემს ახალგაზრდა დედიკოს.

მამიკო! შენს შემდეგ გათენება არ მიხარია. მენატრება შენი მოფერება, ჩახუტება. სულ შენს მოლოდინში ვარ. დაღამდება თუ არა, ჭიშკრისკენ ვიხედები, მგონია, მოხვალ და ჩამეხუტები.

დედა მეუბნება მამიკო ზაცაში აფრინდა, იქედან გიყურებს და გიცავსო. ზეციურ საქართველოში იპოვა ბინაო.

მე მერჩივნა საბოლოოდ ჩვენთან დაბინავებულიყავი, ზეცას მე ვერ ვწვდები, ვერ ვხედავ ჩემს საყვარელ მამიკოს. ნეტავ ჯადოსნური ჯოხის ყიდვა შემეძლოს, ჩემს მამიკოს გავაცოცხლებდი. ვაი, რომ პატარა ვარ. სხვა რა დამრჩენია, მინდა მოვიგონო მამიკოსთან გატარებული წლები, დიდი რომ გავიზრდები დავემსგავსო ჩემს იდეალურ მამიკოს.

***შვილი ვილი, ოჯახი.***

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებით თანაუგრძნობს საკრებულოს აპარატის უფროსს ლელა შამათავას მამის

**კარლო შამათავას**

გარდაცვალების გამო.

ხობის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ომის ვეტერანებთან გათანაბრებული, ქალაქ ხობის საპატიო მოქალაქე

**მიტუშა გერგაია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ახლობლებს.

გურამ კვიკვინია თანაუგრძნობს ნანა ადანაიას და ლადო პაჭკორიას ოჯახს დის და ცოლისდის

**დიანა კილასონიას**

გარდაცვალების გამო.

**ჩანახატში აღწერილი ამბები რეალობას წარმოადგენს, თავად მე ყველაფრის მომსწრე და თვითმხილველი ვარ. აქ მცხოვრებმა ადამიანებმა დიდი და დაუვიწყარი ტკივილი განიცადეს მომხდარი უბედურების გამო, თვით ბუნებამაც განიცადა ყოველივე ეს. მეც გადავწყვიტე დამეწერა ეს რეალობა, „რაც კი რამ დაუბადნია უფალს—სულიერი, უსულო, ყველას თურმე ენა აქვს, არა ყოფილა უგულო“ დიახ, ენა აქვს ბუნებასაც და ამიტომ ავამეტყველე ცაცხვი.....**

# ცაცხვის [illegible]

არაფერი ცოდვა არ ჩამიდენია, მთა იყო ჩემი საცხოვრებელი, ყველაფერს ვხედავდი, რაც ბარში ხდებოდა. 5-6 წლისა, მე და ჩემი მეგობარი ცაცხვი, აქ, მუნჩიის პირას, დამასახლეს. თანდათან ვიზრდებოდით. საუკუნემდე ვერ მივაღწიე. მთაში 500-600 წელს ვიცოცხლებდი, აქ კი მხოლოდ 80 წელი ვიცოცხლე.

ადამიანები თავს მევლებოდნენ, ყოველთვის ჩვენს ირგვლივ ტრიალებდნენ. ეს ადგილი იყო არა მარტო ამ უბნელების დასასვენებელი ადგილი, არამედ სხვა სოფლიდანაც



მოდიოდნენ ახალგაზრდები. აქ იყო გართობა, სიმღერა, თამაში. ჩვენც ამაყად ვიყავით, გვიხაროდა, რომ ჩვენს ირგვლივ ყოველთვის ჟრიამული იყო. თუ ვინმე გამოივლიდა, აქ ჩამოჯდებოდა, დაისვენებდა. ჩვენს ჩრდილქვეშ დიდი თუ პატარა თავს კარგად გრძნობდა, ძლიერი სიცხის დროს ყველას ჩვენთან მოჰქონდა თავი გასაგრილებლად. აქ მცხოვრებნი როგორც ჩემი, ასევე მდინარე მუნჩიის მადლიერნიც იყვნენ. აქ ტკბებოდნენ ადამიანები, მოგროვდებოდნენ, დაისვენებდნენ და გამხიარულდებოდნენ. ეს იყო სიყვარულისა და ბედნიერების ადგილი, აქ ბევრი ახალგაზდის ბედი გადაწყვეტილა, მაგრამ ვაჟას თქმისა არ იყოს „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს ზოგჯერ მქნელია ავისა.“

ოჰ, რამდენი კარგისა და ცუდის მოწმე ვარ. მახსოვს, ერთხელ ერთი ახალგაზრდა ბიჭი, თოფით ხელში, მოვიდა, დაუმიზნა თევზს, უნდოდა მოეკლა, მაგრამ ფესვს ფეხი წამოჰკრა, თოფი გაუვარდა, ტყვია მოხვდა და მოკვდა. ვერ ვუშველე...

აგერ აკაციის ხე რომ არის, იქ გუბე იყო, ვხედავდი როგორ იხრჩობოდა კაცი, მაგრამ ვერ გადავარჩინე. მინდოდა შველა, მაგრამ ვერ შევძელი. ბევრი ვიტირე, მაგრამ ვერ გავაცოცხლე.

ერთ საღამოს, როცა მთვარე მთის წვერზე დამჯდარიყო და ანათებდა, ახალგაზრდები ცაცხვის ძირას დამსხდარიყვნენ და მხიარულებდნენ, ამ დროს ზევით გამოჩნდა რაღაც ალისფერი სხეული, რომელიც პირდაპირ ხიდისკენ წამოვიდა და წყლის ზედაპირზე გაჩერდა, დიდხანს ტივტივებდა ერთ ადგილზე, ხოლო შემდეგ გაქრა. ყველა იქ მყოფმა ხმა გაკმინდა, შიშით დიდხანს ადგომას ვერ ბედავდნენ, შემდეგ კი ყველა სახლისკენ გაიქცა. ამის შემდეგ კი იქ დიდხანს ვერ ბედავდა მისვლას, ზოგი ამბობდა მფრინავი თეფშიაო, ზოგი ვინ იცის რას, მაგრამ ყველასთვის გაურკვეველი იყო, თუ რა იყო ის უცხო სხეული.

მას შემდეგ გავიდა რამდენიმე თვე, ზაფხულის მწუხრი იყო. მანქანით მოვიდნენ ქალი და კაცი, რომელთაც სამი ბავშვი მოჰყვებოდათ. ბავშვები წყალში ჩავიდნენ, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ალისფერი სხეული ტრიალებდა, წყლიდან ორი ბავშვი ამოვიდა, მესამე კი წყალში დაიხრჩო. ზოგი ამბობდა, გველი ნახა და გული გაუსკდაო, სინამდვილეში არავინ იცის, რა მოხდა. მეორე დღეს კი იმ ადგილზე, სადაც ბავშვი დაიხრჩო, მის პირდაპირ ნაპირზე გრძლად გველი „წამოწოლილიყო“, თითქოს თავს დამნაშავედ გრძნობდა, იმ ადგილს დიდხანს არ მოშორებია, მერე კი გაქრა. ბევრი ვიტირე, მაგრამ უძლური ვიყავი. ამან ბევრი დააფიქრა, მაგრამ ახსნა ვერ უპოვეს.

აი, აქ ხიდი რომაა, აქედან ერთ საღამოს მთვრალი კაცი გადავარდა და წყალში დაიხრჩო. ვხედავდი როგორ ებრძოდა სიკვდილს, ცდილობდა წყლიდან ამოსვლას, დიდხანს იბრძოლა, მაგრამ ღონემილეულმა ვერ შეძლო თავის გადარჩენა. მე კი ვიტანჯებოდი მისი შემყურე, ღმერთს ვევედრებოდი მის გადარჩენას, მაგრამ ვერც ამით ვუშველე.

ერთ დღეს მთვრალი კაცი მოადგა ხიდს, გადასვლა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო, უკან დაბრუნდა, შეეშინდა ხიდიდან გადავარდნის. სცადა მეჩხერი წყლით გადასვლა, მაგრამ საუბედუროდ, ფეხი ქვას წამოჰკრა და წაიქცა, მთვრალმა ადგომა ვერ შეძლო და დაიხრჩო. განა შეიძლება ამდენი უბედურების ყურება? სულ ცუდის მოლოდინში ვიყავი, არც მდინარე მუნჩიას ვეხატებოდი გულზე, რადგან მოწმე ვიყავი ყოველივე ამისა. ხედავდა როგორ ვიტანჯებოდი, ბრაზით ვუყურებდი, განა მე გამახარებდა?

ახლა კი ჩემი ჯერი დადგა. რა სასწაული მდინარეა მუნჩია, რა უგულო, რა ძალა აქვს. რაც უნდა იმას აკეთებს, მეც გამომაცალა ძირი, მიწა მთლიანად მიიტაცა, მომწყვიტა ჩემს მეგობარს და ერთ მშვენიერ დღეს შუა წყალში აღმოვჩნდი, ჩემს მეგობარ ცაცხვს ხელი ჩავჭიდე, მოვეხვიე, ისიც ხელს არ მიშვებდა, მაგრამ უძლური გავხდი. გენახათ, როგორ ტიროდნენ ადამიანები. ყველა ჩემსკენ მორბოდა... როგორ ვყვარებივართ. როგორ ვუშველოთ ჩვენს ცაცხვსო,–ამბობდნენ, მაგრამ... ვარ შუა წყალში, ადამიანების ნაცვლად ქვეწარმავლები დამეპატრონენ... თუ ადრე მდინარეში სიხარულით ბანაობდნენ, ახლა აქ გველების შიშით ჩასვლას ვერ ბედავენ. ვინ იცის, როდის განრისხდება მუნჩია და როდის ჩამყლაპავს. რა ძალა აქვს ბუნებას, რაც უნდა იმას აკეთებს. ნეტავ შემეძლოს ისევ ჩემი მეგობრის გვერდით ვიყო, მოვეფერო იმ ადამიანებს, ვისაც ასე ძლიერ ვუყვარვარ, ზაფხულში არ ვაგრძნობინო სიცხე, ვუამბო კეთილი სიზმრები, მინდა, რომ ჩემი ბედი არ ეწიოს ჩემს მეგობარ ცაცხვს, მაგრამ არ ვიცი, რით ვუშველო.

ამბობენ, ბუნებას თვალი, გონებაც და გრძნობაც აქვსო. რადგან თვალი აქვს, კარგადაც ხედავს, რაც მის ირგვლივ ხდება, ტვინიც კარგად აქვს გავარჯიშებული და ესმის ყველაფერი, რასაც ამბობენ. არავის არაფერს პატიობს, მაგრამ არ ვიცი მე რა დავაშავე, თვალებს ხომ ვერ დავიბრმავებდი, ყველაფერს ვხედავდი. მეც ამ ყველაფერს შევეწირე, რადგან ბევრჯერ საყვედურიც ვთქვი., გავუბრაზდი, არ მაპატია. ახლა საცოდავად ვდგავარ შუა მუნჩიაში, მხოლოდ აქა-იქ წითელი ფოთლები ფარავენ ჩემს გამხმარ ტოტებს.

არც მუნჩიას მიუღია ამით სიამოვნება. დაშრა. შეიცვალა, გაჩნდა გუბეები და ბაყაყების სამკვიდრო გახდა. ამდენი ადამიანის ცოდვა განა გაახარებდა?

დგას მარტო ჩემი მეგობარი ცაცხვი სევდიანი, თვალცრემლიანი, გადმომყურებს მე, სიცოცხლემილეულ ცაცხვს. გაქრა ის ბედნიერება, რომელიც ჰქონდა ადრე, როცა ჩემთან ერთად იყო, მაგრამ ადამიანები მას გარს ეხვევიან, ეფერებიან, ამხიარულებენ, მარტო არ მოსწყინდესო. უნდათ, რომ შიში მოაშორონ, შიში მუნჩიისა. მის ირგვლივ მყოფი ხეებიც სიყვარულით უყურებენ, თანაუგრძნობენ. თუ აქამდე საუბრობდნენ, მხიარულობდნენ, ახლა გასუსული დგანან ხელაპყრობილი და უფალს ევედრებიან, ააცილონ ცაცხვს და მათ შორის ადამიანებსაც უბედურება..

**ნინელი /მზია/ ხუხია**
**ფილოლოგი.**

## მილოცვა

## ნუგზარ ნადარაიას!



გილოცავთ დაბადების დღეს! რედაქციელებთან თქვენს მეგობრულ ურთიერთობას შორეული წარსულიდან აქვს ფესვები, რომელიც დღესაც გრძელდება. უახლოესი ურთიერთობები კი ჩვენი სამსახურების გვერდიგვერდ ყოფნამ უფრო გააძლიერა.

და განა მარტო ჩვენთან, ადამიანებთან ახლოს ყოფნა თქვენი ერთ-ერთი საუკეთესო თვისებათაგანი გახლავთ. თქვენი წერილები ჩვენს გაზეთში ჯერ კიდევ პროფესიული სასწავლებლის დირექტორობიდან იბეჭდებოდა. არც სხვა წლებია გამონაკლისი. გაზეთის ფურცლებზე სხვადასხვა თემებზე თქვენს აზრს, ხშირად გამოხატავდით. ასე, რომ გაზეთის და თითოეული ჩვენთაგანის ახლობლად გვთვლით.

ნუგზარ, თითქოსდა მკაცრი ადამიანის შეხედულება გაქვთ, მაგრამ, ვინც კარგად გიცნობთ, იციან, როგორი კეთილი, გამგები და მეგობრული ბრძანდებით, ყველა თაობის ადამიანთან გძალუძთ ურთიერთობა, ამიტომაც უყვარხართ, გაფასებენ.

ჩვენო ნუგზარ, კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს, იცოდეთ, თქვენი კარგად ყოფნა და მიღწევები ყოველთვის გაგვიხარდება.

იყავით დღეგრძელი და ბედნიერი თქვენს ლამაზ ოჯახთან–მეუღლესთან, შვილებთან, შეძენილ შვილებთან, შვილიშვილებთან და ახლობლებთან, უახლოეს ადამიანებთან ერთად.

გილოცავთ და გეფერებით!

*რედაქციელები.*

# რაგბის ფესტივალი ხობში





**12 ოქტომბერს ქ.ხობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა რაგბის რეგიონული ფესტივალი 2001-2002 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო 12 ქალაქის 300-მდე მორაგბემ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და საქართველოს რაგბის კავშირის დასავლეთ საქართველოს კოორდინატორმა იოსებ დიაკონიძემ ნორჩი მორაგბეები სიგელებით დაასაჩუქრეს.**

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

*სარედაქციო კოლეგია:*
*თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,*
*თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.*
*რედაქტორი–მანანა შულაია.*
*ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.*
*კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.*

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.